ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 21 აპრილს

## 17 აპრილის 12 საათიდან 21 აპრილის ჩათვლით საქართველოში მსუბუქი მანქანით გადაადგილება სრულად აიკრძალა


გვ.3

პარასკევი, 17 აპრილი, 2020 №89 (8353) ფასი: 60 თეთრი

# „გურამ დონაძე ციხიდან ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიცემული ჩვენების გამო გამოუშვეს“


გვ.2



## გურამ ჩალაგაშვილი: „ივნისში ზურაბ მიქაძესაც გამოუშვებენ“



## „თუ პანდემია აფეთქდა, ეკლესიას დააბრალებენ“

ლევან ხაბეიშვილი: „ფული ვიშოვეთო, რომ ტრაბახობენ, დაურიგონ ხალხს ეს ფული!“


გვ.2


გვ.3

## ნიკა ჩიტაძე: „ეკლესიის საქმე არ არის, გახარია იქნება თუ არა პრემიერ-მინისტრი!“

„ხელისუფლება საპატრიარქოზეა დამოკიდებული და წინასაარჩევნოდ ურთიერთობის დაძაბვას უფრთხის“


გვ.3

## რამაზ საყვარელიძე: „ეკლესია პოლიტიკური მძევალია“

## ჯონდი ბაღათურია: „აღდგომის ღამეს ადამიანებისთვის ეკლესიაში წასვლა ძალიან რთული იქნება“


გვ.4


გვ.4

## „ქართულ ოცნებას“ ეს რეიტინგი ხუხულასავით ჩამოენგრევა“

## „საქართველოში ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეები მინიმუმამდეა შემცირებული“

აღკვეთილ იქნა „რბილი ძალის“ ფარგლებში დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება და აქტივობა


გვ.5

ISSN 1987-9385

4 რუსეთი საინფორმაციო შეტევებს კორონაკრიზისის დროსაც აგრძელებს

5 „მეზობლებმა გამოვიძახეთ პატრული. ეტყობა, შიმშილისგან გაითიშა“ ვაკეში მამაკაცი გარდაიცვალა

5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 234 ფაქტი გამოავლინა

6 გერმანია მკაცრი ზომების შემსუბუქებას იწყებს

# „გურამ დონაძე ციხიდან ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიცემული ჩვენების გამო გამოუშვეს“

## გურამ ჩალაგაშვილი: „ივნისში ზურაბ მიქაძესაც გამოუშვებენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **გურამ ჩალაგაშვილი** პასუხობს.

***– ბატონო გურამ, 16 აპრილს გურამ დონაძემ საპატიმრო დატოვა. ამბობენ, რომ მას და ხელისუფლებას შორის გარიგება შედგა. რა გარიგებაზეა საუბარი?***

– ადრეც მითქვამს თქვენთან ინტერვიუში, რომ დაახლოებით ნოემბრის შუა რიცხვებში დაიწყო ეს ამბავი, როდესაც ჩვენ გავაჟღერეთ ინფორმაცია, რომ ხელისუფლება გურამ დონაძეს გარიგებას, შეთანხმების გაფორმებას სთავაზობდა.

***– ეს გარიგება შედგა ნოემბერში დონაძესა და ხელისუფლებას შორის?***

– კი ბატონო, ასე იყო. დაიდო გარიგება, რომ დონაძეს ოქრუაშვილის წინააღმდეგ უნდა მიეცა ჩვენება და მას გამოუშვებდნენ, თუმცა ნოემბრიდან სასამართლო გაიჭიმა და სწორედ ეს დრო დასჭირდა. 6 აპრილს გაიმართა პროცესი, დაიკითხნენ დონაძე და მიქაძე.

მაშინ, როდესაც პანდემიაა გამოცხადებული, თბილისის საქალაქო სასამართლოში არც ერთი პროცესი არ ტარდება, ამ დროს ხელისუფლების ეს ორივე ოქროს მოწმე მოიყვანეს სასამართლო დარბაზში და მათ მისცეს ჩვენება ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ, რომ მან დაავალა, მომხდარიყო გაყალბება მაშინ მომხდარი ფაქტისა, რომ არ შელახულიყო პატრულის იმიჯი და ეს დავალება მათ მიიღეს ირაკლი ოქრუაშვილისგან.

სინამდვილეში კი მათ ირაკლის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მისცეს და სანაცვლოდ შეჰპირდნენ ციხიდან ვადაზე ადრე გამოშვებას.



***– მიქაძესაც უშვებენ?***

– ჩემი ინფორმაციით, გურამ დონაძე ციხიდან გათავისუფლდა 15 აპრილს, ხოლო მიქაძეს გამოუშვებენ ივნისის დასაწყისში, როდესაც მას პატიმრობის 1,6 წელი შეუსრულდება. აი, ასეთი შეთანხმება შედგა.

***– ანუ დამნაშავეებს უშვებს იმის სანაცვლოდ, რომ ოქრუაშვილი დასაჯოს?***

– „ქართული ოცნება“ ოქრუაშვილის დასჯას ბოლომდე ცდილობს. მე მგონი, კომუნისტების დროსაც კი არ მომხდარა მსგავსი რამ, რომ უკვე მისჯილი პატიმრისათვის აეკრძალოთ ოჯახის წევრებთან დარეკვა. შესაბამისად, 14 აპრილს პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილს სატელეფონო ზარებიც კი აუკრძალა, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონმა წულუკიანმა გააკეთა განცხადება და თქვა, რომ პატიმრებს მიეცემოდათ ოჯახებთან ტელეფონით საუბრის საშუალება, რადგან პანდემიაა და პაემნები შეიზღუდა.

***– რატომ აუკრძალეს სატელეფონო ზარები, მოტივად რა დასახელდა?***

– პირველი მიზეზი ის იყო, რომ როდესაც ირაკლის მიუსაჯეს 5-წლიანი პატიმრობა, მაშინ დამირეკა მე და უნდოდა ტვ პირველზე ჩართვა პირდაპირ ეთერში. როგორც კი ტვ პირველზე ზარი გავიდა, მაშინვე გაუთიშეს და ზარები აუკრძალეს ოფიციალურად. ხელისუფლებას არ სურს, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა კიდევ ერთხელ თქვას ის, რის თქმაც მას უნდა და რაც აქვს სათქმელი, ცდილობენ, მაქსიმალურად მოახდინონ მასზე ზეწოლა და დატანჯონ ადამიანი. დაახლოებით 8 დღის წინ მისცა ირაკლის წინააღმდეგ ჩვენება გურამ დონაძემ და ერთ კვირაში გაათავისუფლეს კიდეც. საკმაოდ დაჩქარებული ვადებით ხელისუფლებამ აღუსრულა მას დანაპირები.

***– ირაკლი ოქრუაშვილს 5 წელი უკვე მიესაჯა 20 ივნისის საქმეზე. გურამ დონაძის ჩვენების საფუძველზე რას ელოდებით, კიდევ რამდენ წელს დაუმატებენ?***

– გურამ დონაძე ამ ხელისუფლებისათვის ოქროს მოწმეა. ასევეა ზურაბ მიქაძეც. მათ ირაკლი ოქრუაშვილს დაადეს ხელი. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ყალბი ჩვენება და მთელმა საქართველო იცის, რომ ეს არის გამოგონილი ამბავი, ხელისუფლებას აქვს კიდევ ერთი ბერკეტი, რომ ირაკლი ოქრუაშვილი კიდევ უფრო დიდი ხნით ჩასვას ციხეში.

***– ამ 5 წელს რამდენი დაემატება?***

– თუ არ ვცდები, ეს არის გაცილებით მძიმე დანაშაული, უფრო მეტი ხნით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ახლა უკვე აქვს 5 წელი მისჯილი. თუ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ და ირაკლის არ გაათავისუფლებენ, დაარღვევენ დასავლელ პარტნიორებთან დადებულ პირობას, ამ შემთხვევაში მათ ექნებათ საშუალება, ირაკლი ოქრუაშვილს კიდევ დაუმატონ 3 წელი და 5 წლის ნაცვლად 8 წლით გამოკეტონ ციხეში!

***– რა პოზიციას დაიკავებს ბუტა რობაქიძის ოჯახი? ისინი წლების განმავლობაში ითხოვდნენ როგორც გურამ დონაძის, ისე მიქაძის დაპატიმრებას.***

– მუდმივად ვერიდებოდი ბუტა რობაქიძის ოჯახზე კომენტარის გაკეთებას. განსაკუთრებით მამამისია აქტიური და ის აქტიურობდა ამ თემაზე. 14 წლის შემდეგ დაიწყო სოსო რობაქიძემ აქტიურობა, თორემ მანამდე როდესაც ითხოვდა დონაძის, მიქაძისა და კიდევ სხვების დაპატიმრებას, ამ სიაში ოქრუაშვილის გვარი არასდროს ყოფილა, რადგან ბუტას მამამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ირაკლი აბსოლუტურად უდანაშაულო იყო ამ საქმეში.

***– რას ელოდებით?***

– კიდევ ერთხელ მინდა, მოვუწოდო ხელისუფლებას, ციხეს აქვს ორი კარი, ირაკლი ოქრუაშვილი როგორც შევიდა, ისევე გამოვა იქიდან ძალიან მალე. გურამ დონაძისა და ზურაბ მიქაძისნაირ ვიგინდარებთან დადებული პირობის შესრულებას ურჩევნიათ, დასავლელ პარტნიორებთან დადებული პირობები შეასრულონ, თუ უნდათ, რომ საქართველოს მოსახლეობამ მართლა წკეპლით არ გაყაროს.

# „თუ პანდემია აფეთქდა, ეკლესიას დააბრალებენ“

## ლევან ხაბეიშვილი: „ფული ვიშოვეთო, რომ ტრაბახობენ, დაურიგონ ხალხს ეს ფული!“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს **ლევან ხაბეიშვილი** პასუხობს.

***– ლევან, აღდგომის დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად, ხელისუფლების კრიტიკამაც იმატა. ამბობენ, რომ ეკლესიას აკისრებენ პასუხისმგებლობას და ასე შემდეგ. რა ხდება რეალურად, თქვენ რა პრეტენზიები გაქვთ ხელისუფლებასთან?***

– ყველა კარგად ვხედავთ, რა მდგომარეობაშიც ვართ. თავიდან გასაგები იყო, საგანგებო მდგომარეობასაც მხარი დავუჭირეთ, სხვა რეგულაციებსაც, მაგრამ ხელისუფლებამ სხვა გზა აირჩია.

***– რომელი გზა?***

– მათ გადაწყვიტეს, რომ მხოლოდ ინფორმაციის მომწოდებლები უნდა იყვნენ, გაპრანჭულად უნდა მოგვიყვნენ, როდის, რომელ საათზე სად უნდა გავიდეთ და სად არ უნდა შევიდეთ. ამის გარდა ისინი არაფერს აკეთებენ.

თვე-ნახევარი სახლშია ხალხი დარჩენილი და, სხვა პრობლემებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბევრს ფსიქოლოგიურად გაუჭირდა. ხალხი ფიქრობს, მომავალში რა ეშველება, ან სახლში რომ უნდა იყოს კიდევ ერთი თვე, რა უნდა ჭამონ?! ხელისუფლება ამაზე ხმას არ იღებს, არც ამშვიდებს ხალხს, იმასაც კი არ ეუბნება, დაგეხმარებით, საკვების პრობლემა არ გექნებათ, პირველადი მოხმარების პროდუქტების პრობლემა არ გექნებათო – ამას არ ეუბნება და მთელი ამ თვე-ნახევრის განმავლობაში ერთადერთი, რითიც არის დაკავებული, არის ის, რომ ამბობს, სადღაც რაღაცას დავკეტავთ, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო და გახსნეს ყველზე საშიში დისკუსია.

***– საშიშ დისკუსიაში რას გულისხმობთ?***

– დისკუსია იმაზე, რომ თუ პანდემია აფეთქდა, ყველაფერი არის ეკლესიის ბრალი! თუ პანდემია არ აფეთქდა, რაც ძალიან კარგი იქნება, ამ შემთხვევაში გამოვლენ და იტყვიან, ნახეთ, კრიზისები რა კარგად ვმართეთო, ხოლო თუ აფეთქდა, მაშინ ეკლესია იქნება დამნაშავე.

უკაცრავად, მაგრამ ეკლესიის ბრალი რანაირად უნდა იყოს, როცა სახელმწიფოს მეთაურს გამოცხადებული აქვს საგანგებო მდგომარეობა, არის კომენდანტის საათი, სამ ადამიანზე მეტის თავშეყრა არ შეიძლება. იმიტომ არის სახელმწიფოს მეთაური, რომ გაატაროს შესაბამისი ზომები და არა ის, რომ ეკლესიას ჰკითხოს, აბა, შენ რას ფიქრობო.

სასულიერო პირი მუდმივად იქნება სასულიერო პირი, რომელიც იტყვის, რომ მსახურება მნიშვნელოვანია და ხალხი ეკლესიაში უნდა მივიდეს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი კანონს არ დაიცავენ, თუ ხელისუფლება მოსთხოვს.

კონსტიტუცია და კანონი ყველასთვის არის ერთი! დამერწმუნეთ, როცა სასულიერო პირი ჩადის დანაშაულს, ის აბსოლუტურად კანონის შესაბამისად ისჯება, როგორც სხვა ადამიანი.

***– რა არის გამოსავალი?***

– ბუნკერში მყოფი ივანიშვილის მთავარი ამოცანა მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო ეკლესიის დისკრედიტაცია. ის ვერ იტანს, მასზე მეტი ნდობა რომ აქვს ვინმეს. ფაქტია, რომ ამ სიტუაციის გამო საპატრიარქოს რეიტინგი დავარდა. 92%-იანი ნდობა გაფლანგა საპატრიარქომ და მოდის ქვემოთ და ქვემოთ! ამ ყველაფერს კი აკეთებს ივანიშვილი მიზანმიმართულად.

ეს გეგმა აქვთ – თუ არ აფეთქდა პანდემია, გახარიამ დაიჭირა, ხოლო თუ აფეთქდა, ეკლესიის ბრალია.

არადა, ამ ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლეზე პასუხისმგებელი არის სახელმწიფო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კანონის დაცვა. ადგნენ და ადამიანებს მისცენ არჩევანის თავისუფლება, გინდათ, წადით ტაძარში, გინდათ, ნუ წახვალთ. ადამიანებს რომ ეტყოდნენ, წასვლით კანონი ირღვევაო, მაშინ ყველა დარჩებოდა სახლში. თუ არჩევანის წინაშე დააყენებ, ის გეტყვის, რომ მისი არჩევანია ლოცვა და ეკლესია. უკაცრავად და სულსა და რწმენაში ხელებს ნუ გვიფათურებენ, რა!

***– იმის თქმა გინდათ, რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება?***

– იკვეთება არა, ცალსახად ასეა. მე, როგორც სამოქალაქო პირს, როგორც პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეს, ჩემი მოქალაქეების სიცოცხლე მირჩევნია აბსოლუტურად ყველაფერს. მე, როგორც სამოქალაქო პირმა, ვიცი, რომ უნდა დავიცვა სამოქალაქო დისტანცია, ვიცი, რომ პასუხისმგებლები ვართ ერთმანეთზე. შესაბამისად, მე რომ მქონდეს ბერკეტი, ავიღებდი პასუხისმგებლობას. ეს არის ხალხი, რომელიც ყოველთვის გაურბის პასუხისმგებლობას და ყოველთვის ყველაფერს აბრალებს სხვას.

***– ახლა არ იციან, ვის დააბრალონ და ეკლესია შეარჩიეს?***

– დიახ. ნაციონალურ მოძრაობას ვერ დააბრალებენ. როგორც წესი, ჩვენ გვაბრალებენ ხოლმე ყველაფერს. ახლა მათი სტრატეგია არის შემდეგი – ეს ყველაფერი გადააბრალონ ეკლესიას. ხელისუფლების პასუხისმგებლობა კი, იცით, რა არის?!

***– რა?***

– ეს ადამიანები რომ სახლში დარჩნენ, მათ დახმარება გაუწიოს. გაზისა და დენის ვაუჩერებიო. 500 ათასი სოციალურად დაუცველი ადამიანი გვყავს, მათ 90%-ს სახლში არც გაზი აქვს და არც დენი. უკაცრავად და ასეთ ხალხს რად უნდა გაზის ვაუჩერი?! და ასეთ ადამიანებს არ უნდა დაეხმარონ?! სწორია სახელმწიფოს პოლიტიკა?!

უნდა მისცენ ათასი ლარი ოჯახს და მშობელი გინდ რძეს უყიდის თავის შვილის, გინდ კარაქს. თავად გადაწყვიტონ ადამიანებმა, რა უნდათ, რომ გადარჩნენ ამ ერთი თვის განმავლობაში. ეს არ არის პოპულიზმი, ყველა პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო ასე იქცევა და ადამიანებს ეხმარებიან კონკრეტული თანხით.

***– საერთაშორისო დახმარება მოდის დიდი ოდენობითო, სულ გვესმის განცხადებები.***

– ჯერ არც კი გვეუბნებიან, რით დაგვეხმარებიან, ამ დროს გამოდის გახარია და ყელყელაობს, 3 მილიარდი ვიშოვეთ უკვეო. 3 მილიარდი არის 9 მილიარდი ლარი! მთელი ჩვენი ერთი წლის ბიუჯეტის ტოლი. ამ 9 მილიარდს, ბიძინა ივანიშვილი რომ ზის ბუნკერში, იმისთვის კი არ აგზავნიან, ან გახარიასთვის. ეს არის ქართველი ხალხისთვის, სამაშველო ოპერაციისთვის გამოყოფილი თანხა. ბიუჯეტიც სავსეა, პლუს ამხელა თანხა შემოდის, ხალხს დაეხმარონ დროულად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახლში დარჩის კამპანიას ვერ გაამართლებენ.

***– ძალიან დაბალი თანხა დასახელდა, 150 ლარი კომპენსაციაო. ეს თანხა ვის რაში უნდა ეყოს? შემდეგ შეცვალეს და ცოტა მეტი იქნებაო.***



– ნახეს ხალხის რეაქცია, შერცხვათ და იმიტომ გადათქვეს. დღეში 5 ლარად ადამიანმა რა უნდა ქნას?! რა უნდა ჭამოს 5 ლარად?! საარსებო მინიმუმს მაინც გადახედონ! თავი რომ მოაქვთ, 9 მილიარდი ლარი ვიშოვეთო, გასცენ ნორმალური კომპენსაციები! ახლა იმაზე უჭირავთ თვალი, როგორ მოიპარონ ეს თანხები, იმაზე კი არ ფიქრობენ, ხალხს დაეხმარონ! დღესვე გამოყონ თანხები და დაეხმარონ ჩვენს მოქალაქეებს! ამ 9 მილიარდის გარეშეც აქვს საქართველოს იმის რესურსი, რომ ხალხს კომპენსაციები დაურიგოს. ბიუჯეტი არ არის გახარიას ჯიბის ფული! თანხები თანაბრად გადაანაწილონ გაჭირვებულ მოსახლეობაზე!

***– ფიქრობთ, რომ ამას გააკეთებენ?***

– უნდა ვაიძულოთ. აუცილებლად გააკეთებენ! წინააღმდეგ შემთხვევაში, სანამ პანდემია მორჩება, მანამდე დასრულდება ეს ხელისუფლება. შეიძლება, შიმშილით დაგვეხოცონ ადამიანები! პანდემიაზე უფრო მეტი ადამიანი, შეიძლება, შიმშილით მოკვდეს! ეს ხელისუფლება ხალხის რისხვას ვერ გადაურჩება! არ აქვთ სწორი და თანმიმდევრული გადაწყვეტილებები. რეგიონებში არ გახვიდეთო და 24 საათი მისცეს ხალხს ქალაქიდან გასასვლელად. კოლონა მიედინებოდა გუშინ თბილისიდან რაიონებში. ეს რა იდიოტობა იყო. თუ გვინდოდა, არ გასულიყო ეს ხალხი, მაშინ მოულოდნელად ჩაეკეტათ! ვისაც გინდათ, წადითო, გამოაცხადეს.

ეს რა სიგიჟეა, ეს არის პასუხისმგებლობა?! აღარავინ აპირებს გაჩუმებას. ამ თვე-ნახევრის განმავლობაში ყველაფერი იკადრა ამ ხელისუფლებამ. ფულის კეთებითა და ბიზნესების გადანაწილებით დაწყებული, ვხედავთ, რომ ამ გაგანია კორონავირუსის დროს პოლიტიკურ დევნას აგრძელებენ! იქით არის და ბიძინამ რაჭაში ჰესები დაითრია და მიწები გაიფორმა. აქეთაა და პირბადეებზე ხოჯევანიშვილებმა, სუს-მა და შსს-მ ბიზნესები გაიყვეს.

ფული როგორ იშოვონ, იმაზე ფიქრობენ. ეგრე არ გამოვა, აღარ გავჩუმდებით. ნუ ჰგონია ხელისუფლებას, რომ ვინმეს ხელს შეაწმენდს, თუნდაც ეკლესიას. პასუხისმგებლობა არის მათი, კანონისა და კონსტიტუციის დაცვა ევალება ხელისუფლებას!

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**სარეკლამო სამსახური** – 599-532-690
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: **www. akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: **axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნიკა ჩიტაძე: „ეკლესიის საქმე არ არის, გახარია იქნება თუ არა პრემიერ-მინისტრი!“

## „ხელისუფლება საპატრიარქოზეა დამოკიდებული და წინასაარჩევნოდ ურთიერთობის დაძაბვას უფრთხის“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დიდ ეკლესიებში დაშვებულია წირვა-ლოცვა აღდგომის ღამეს დისტანციის დაცვით. გაზრდილი საფრთხეების მიუხედავად, ხელისუფლება საპატრიარქოს სათქმელს მკაფიოდ მაინც არ ეუბნება. საპატრიარქოს განცხადებით კი აღდგომა ტაძრებში ტრადიციის მიხედვით აღინიშნება, თუმცა დაცული იქნება დისტანცია და გარკვეული შეზღუდვები.

რატომ ვერ იღებს გადაწყვეტილებას ხელისუფლება მკაფიოდ, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა და უკავშირდება თუ არა ეს არჩევნებს? – ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.

***– მთავრობამ მაინც ვერ მიიღო გადაწყვეტილება, ვერ აუკრძალა მრევლს ტაძარში მისვლა ღამისთევაზე და ვერ მოახდინა ვირუსის გავრცელების პრევენცია. თქვენი აზრით, რატომ და უკავშირდება თუ არა ეს არჩევნებს, კერძოდ კი საპატრიარქოსგან მის მხარდაჭერას?***

– შესაძლებელია, ეს გარკვეულწილად ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლება დამოკიდებულია ეკლესიის პოზიციაზე და მაქსიმალურად ცდილობს, თავი აარიდოს ეკლესიასთან დაპირისპირებას, ვინაიდან ვიცით, რომ ხშირ შემთხვევაში ეკლესიის მსახურები გამოდიან, როგორც ხელისუფლების დამცველები და მისი მხარდამჭერები. თუნდაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ სხვადასხვა წირვა-ლოცვის დროს იყო მოწოდება, რომ მხარი დაეჭირათ „ქართული ოცნებისთვის“. იგივე ხდებოდა სხვა დროსაც, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევით გამოჩნდა, რომ მოსახლეობის დაახლოებით 33%-მა განაცხადა, რომ მათ არჩევანი გააკეთეს სასულიერო პირების რჩევის საფუძველზე, ანუ გარკვეულწილად გავლენას ახდენს არჩევნებზე ეკლესია, იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუციის თანახმად, ეკლესია და ხელისუფლება ერთმანეთისგან გამიჯნულია.

***– რა გამოდის, რეალურად დღეს ხელისუფლება საპატრიარქოს ტყვეობაშია?***

– ტყვეობაში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მასზეა დამოკიდებული, მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლების დროს გაიზარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება. 2000 წელს მართლმადიდებელი ეკლესიის ბიუჯეტი 900.000 ლარს შეადგენდა, ხოლო წინა ხელისუფლების მმართველობისას მისი დაფინანსება 26 მილიონამდე გაიზარდა. მისი დაფინანსება კიდევ გაიზარდა „ოცნების“ მმართველობისას. ეკლესია ხშირ შემთხვევაში გვევლინება ხელისუფლების მხარდამჭერად. პატრიარქმაც რამდენიმეჯერ ილაპარაკა ქებით ბიძინა ივანიშვილის შესახებ და ეკლესია არ იყო კრიტიკული მის მიმართ 20 ივნისის მოვლენების დროს.

ხელისუფლება უფრთხის ეკლესიასთან ურთიერთობის გამწვავებას, იმის მიუხედავად, რომ კანონი ყველას უნდა შეეხოს. შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვით, მაგრამ არ ხდება ვალდებულება, რომ მრევლი დარჩეს სახლში, პირიქით, მისთვის ადგილები იქნება გამოყოფილი ტაძრებში და ამ დროს როცა ხელისუფლება ვერ ავლენს პრინციპულ დამოკიდებულებას, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება დამოკიდებულია საპატრიარქოზე და დავალებულია მის წინაშე.

***– ცალკეული მეუფეების განცხადებებში აშკარა მინიშნებები იყო, რომ არ იწონიებენ გადაწყვეტილებას აღდგომის ღამესთან დაკავშირებით. ეს რას გვაფიქრებინებს?***

– თვითონ საპატრიარქოს ფარგლებშიც არიან სასულიერო პირები, რომლებიც ხშირად აფიქსირებენ პატრიარქისგან განსხვავებულ აზრს, მაგრამ ძირითადი ნაწილი პატრიარქს ექვემდებარება.

***– ვინც არ იწონებს, ისინი საფრთხეს გრძნობენ, საკითხს რაციონალურად უყურებენ და იმიტომ აკეთებენ ასეთ განცხადებებს თუ სხვა რამით უნდა აიხსნას ეს?***

– შესაძლებელია, რაციონალურად აღიქვამენ ვითარებას და აცნობიერებენ, რომ ვირუსმა არ იცის, ვინ მორწმუნეა, ვინ – არა და ვინ რამდენ სანთელს ანთებს.

***– რამდენიმე თვის წინ მეუფე იაკობმა გიორგი გახარიას მისამართით თქვა, რომ თუ გახარია გახდება პრემიერი, მას ეკლესიასთან ექნება პრობლემები. ეს ხომ არ გამოჩნდა დღეს?***

– კი, ჩანს. სამწუხაროდ, ხშირად ჩანს, რომ ეკლესია აქტიურად ერევა საერო ხელისუფლების საქმიანობაში, ამიტომაც, გახარია გახდებოდა თუ არა პრემიერი, ეს ეკლესიის საქმე არ არის. ჩვენ გაგვაჩნია კრიტიკული მოსაზრებები გახარიასთან დაკავშირებით, თუმცა, ამ შემთხვევაში ვინ გახდება ქვეყნის პრემიერი, ეს არ არის ეკლესიის გადასაწყვეტი. ეკლესიის მსახურებს, რიგითი მოქალაქეების მსგავსად, შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება. გადაწყვეტილებას იღებს ქართველი ხალხი, ისევე, როგორც საერო პირების საქმე არ არის საეკლესიო თანამდებობების საკითხი.

თუ ვინმეს არ მოსწონს გახარია, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ხალხმა და აქ იგულისხმებიან როგორც საერო, ისე სასულიერო პირები. მათ უნდა გამოხატონ თავიანთი მოსაზრება არჩევნებზე.

***– ალბათ, სიტყვითაც აქვთ გამოხატვის შესაძლებლობა, მაგრამ ჩვენ აქ ხომ ჩარევაზე ვსაუბრობთ.***



– კი, რა თქმა უნდა. მათ აქვთ გამოხატვის თავისუფლება, ისევე, როგორც საერო პირებს, მაგრამ მათ არ აქვთ უფლება, ჩაერიონ პოლიტიკის საკითხებში და გადაწყვიტონ, ვინ იქნება პრემიერი და ვინ – არა.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც რუსეთის პროპაგანდა მიმდინარეობს ეკლესიის გარკვეული სასულიერო პირების მეშვეობით, რომლებიც საეკლესიო ქადაგებას ეწევიან. ვიცით, როგორ იყენებს რუსეთი საკუთარ რბილ ძალას ეკლესიის მეშვეობითაც, თუნდაც იმით, რომ რუსები ერთმორწმუნე მართლმადიდებლები არიან, ხოლო დასავლეთში არიან კათოლიკეები და ა.შ. მათ უწოდებენ მწვალებლებს და მიიჩნევენ, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია მართლმადიდებლობაა. ამ გზით ხდება რუსული პროპაგანდა და, სამწუხაროდ, ხშირად ამ პროპაგანდას ეწევიან ეკლესიის მსახურები. ისინი ამით საფრთხეს უქმნიან ქართულ სახელმწიფოს.

***– ხომ არ ხედავთ იმის მცდელობასაც ხელისუფლების მხრიდან, რომ პასუხისმგებლობა დააკისროს ეკლესიასა და მრევლს. თავის მხრივ, საპატრიარქოც ხომ არ არის მზად, მიიღოს ეს გადაწყვეტილება?***

– ან მზად არის, ან ბევრი ვერ აცნობიერებს საფრთხეებს და უნდათ თავიანთი ძალაუფლების გამოვლენა, რომ ხელისუფლება კი უკრძალავს ხალხს 9 საათის მერე გარეთ გასვლას, მაგრამ ჩვენ სხვანაირად მიგვაჩნია და ამ ფარგლებში მრევლს აქვს უფლება, გამოცხადდეს ეკლესიაში, იყოს დილამდე და დაესწროს სააღდგომო ლიტურგიას. სამწუხაროდ, ბევრი ვერ აცნობიერებს საფრთხეს, რომელიც ვირუსს უკავშირდება. ამიტომაც, მე მგონია, რომ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია შემდეგნაირად – მისი უწმინდესობა გამოსულიყო ტელევიზიით და მოეწოდებინა მოსახლეობისთვის, რომ თავი შეეკავებინა ეკლესიაში მისვლისგან. რა თქმა უნდა, ეკლესია წმინდა ადგილია, მაგრამ დღეს არის საფრთხე, საფრთხის წინაშეა ქვეყანა და შესაძლებელია სახლში ლოცვა.

***– ანუ საერო პირებისთვის კი არ დახურულიყო ეკლესია, არამედ მოწოდება გაკეთებულიყო პატრიარქის მხრიდან?***

– კი ბატონო. მოწოდება რომ გაკეთდეს, ხალხი არ მივა, დაუჯერებს პატრიარქს და ამით პრობლემა გადაწყდება. შეხვედრა იყო 2 დღის წინ საპატრიარქოში. მართალია, დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ ფაქტია, რომ შეთანხმება ვერ მოხერხდა. არწმუნებენ მრევლს, რომ რადგან მორწმუნეა, მას ვირუსი არ შეეხება, მაგრამ ასე არ არის. მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ლიბერალი პოლიტოლოგის თქმით, ღმერთი იმას ეხმარება, ვინც თავის თავს ეხმარება. მრევლი საკუთარ თავს თუ არ დაეხმარა, ღმერთი მას ვერ დაეხმარება.

***– ამერიკაში გვაქვს ამის ნათელი მაგალითი, როცა ის ეპისკოპოსი გარდაიცვალა, რომელიც აცხადებდა, ღმერთი ვირუსზე დიდია და ის ვერაფერს დაგვაკლებსო...***

– კი, მორწმუნეობა კარგია, მაგრამ ის არ უნდა გადავიდეს რელიგიურ ფანატიზმში. ქართველებში არსებობს ტერმინი „თავისუფალი“. მე ხუთ ენას ვფლობ და არც ერთ ენაში არ გააჩნია ის მნიშვნელობა ამ სიტყვას, რაც ქართულში. „თავისუფალი“ არის არაჩვეულებრივი სიტყვა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი არის საკუთარი თავის უფალი. ადამიანმა უნდა განსაზღვროს თავისი ბედი და თავის თავს ქცევის წესები და კანონები დაუწესოს. მას ამ შემთხვევაში დაეხმარება ღმერთი. სამწუხაროდ, ბევრი ამას ვერ აცნობიერებს და ჰგონია, რომ ყველაფერი ღმერთის ნებით მოხდება.

***– ასეთი მოსაზრებაც არის, რომ ინფიცირებულთა რაოდენობა მეტია და ელოდებიან აღდგომას, რომ ეკლესიას „აჰკიდონ“ ეს პასუხისმგებლობა.***

– არა მგონია, ხელისუფლების მიზანი იყოს, რომ პასუხისმგებლობა საპატრიარქოს „აჰკიდოს“. ხელისუფლება მოუწოდებს ხალხს, რომ არ წავიდეს ეკლესიაში. ეს შეგვეძლო გვეთქვა იმ შემთხვევაში, თუ პრემიერი იტყოდა, აღდგომის დღესასწაულის გამო ერთი დღით ვაუქმებთ კომენდანტის საათსო. ეს არ გაუკეთებია ხელისუფლებას.

ხელისუფლება არ მოგვწონს, მე და თქვენ ბევრჯერ გვისაუბრია ამაზე, მაგრამ არის მოწოდება, არ მიხვიდეთ ეკლესიაშიო და ამაში ხელისუფლებას მხარს ვუჭერ. შეგიძლია, სახლში აანთო ხატებთან სანთელი და ილოცო, შეღებო კვერცხი წითლად და ოჯახის წევრებთან ერთად გატეხო, ანუ ხელისუფლებამ თავისი საქმე გააკეთა, როდესაც მოუწოდებს ხალხს. იმავე პაატა იმნაძემ თქვა, თუ გინდათ, ჩვენი ეკლესია შევინარჩუნოთ, ნუ მიხვალთ ეკლესიაშიო. ამ შემთხვევაში საპატრიარქო არ იღებს პასუხისმგებლობას. პატრიარქის მოწოდება რომ ყოფილიყო, ადამიანები დაუჭერდნენ მას მხარს. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ეკლესიას არ სურს პასუხისმგებლობის აღება და საფრთხის თავიდან არიდება.

# 17 აპრილის 12 საათიდან 21 აპრილის ჩათვლით საქართველოში მსუბუქი მანქანით გადაადგილება სრულად აიკრძალა

17 აპრილის დღის 12:00 საათიდან 21 აპრილის ჩათვლით ქვეყანაში სრულად იკრძალება მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილება.

ამის შესახებ განცხადება გუშინ, 16 აპრილს, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე გაკეთდა.

– დაწესებული ზომების დამატებით გამკაცრების შესახებ ვიღებთ ზომებს. 17 აპრილს, დღის 12:00 საათიდან საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით, ანუ 21 აპრილის ჩათვლით, ქვეყანაში სრულად იკრძალება მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილება. შეზღუდვა არ ვრცელდება ტვირთების გადაზიდვასა და დისტრიბუციის მანქანებზე. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ სასურსათო მაღაზიები, აფთიაქები და ყველა სხვა ობიექტი, რომელიც აქამდე მუშაობდა, ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას და ასევე, მუშაობას აგრძელებს ე.წ. დელივერების სერვისები, – განაცხადა პრემიერ-მინისტრის პრესსპიკერმა ირაკლი ჩიქოვანმა.

ამასთან, ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლები მომდევნო 2-3 კვირის განმავლობაში ინფიცირების შემთხვევების მნიშვნელოვან ზრდას ელოდებიან.

– საერთო ჯამში, დღევანდელი მონაცემებით, გვაქვს 348 დადასტურებული შემთხვევა და ქვეყანაში დაწყებულია აქტიური შიდა გავრცელების ეტაპი. საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლები მომავალი 2-3 კვირის განმავლობაში ინფიცირების შემთხვევების მნიშვნელოვან ზრდას ელოდებიან. მთავრობამ დროულად მიიღო ზომები, რათა შეემცირებინა კოვიდ 19-ის გავრცელება, – განაცხადა ჩიქოვანმა.

მისივე თქმით, 17 აპრილიდან დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის ტარება სავალდებულო ხდება.

პასუხისმგებლობა ამ მოთხოვნის შესრულებაზე იურიდიულ პირებს დაეკისრებათ და მათთვის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია 15 ათასი ლარით.

– იმ შემთხვევაში, თუ თითოეულმა მოქალაქემ, კერძო სექტორმა, ბიზნესმა, რელიგიურმა ორგანიზაციებმა, სამოქალაქო ორგანიზაციებმა – ყველამ ზედმიწევნით არ შევასრულეთ და დავიცავით კანონი, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, ეს აუცილებლად გახდება ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარების მკვეთრი გამწვავების საფუძველი და ჩვენ მოგვიწევს უახლოეს პერიოდში ზომების უკიდურესი გამწვავება, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით სრული კარანტინის გამოცხადებას გულისხმობს.

კატეგორიულად მოგიწოდებთ, გამოავლინეთ მაღალი პასუხისმგებლობა და გაუფრთხილდით როგორც საკუთარ, ასევე, სხვის ჯანმრთელობას, დარჩით სახლში, – განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

17 აპრილიდან შეზღუდვები წესდება სასაფლაოებზე შესვლასთან დაკავშირებითაც.

* * *

– გთხოვთ ყველას, რომ გაითვალისწინოთ მთავრობის ახალი რეგულაციები,

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

# რამაზ საყვარელიძე: „ეკლესია პოლიტიკური მძევალია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, ცნობილია, რომ კომენდანტის საათის დაცვით ტაძრებში სააღდგომო ლიტურგია ჩატარდება. ინფექციონისტები მეორე იტალიის განმეორებაზე საუბრობენ. რატომ არის ხელისუფლება ლოიალური, რატომ ჩამოჰკიდა მთელი პასუხისმგებლობა მოქალაქეებს?***

– თუ მეორე მხარეს მხოლოდ ემოცია, ეგზალტაციაა, იქ რაციონალურ არგუმენტაციას აზრი აღარ აქვს. ეს მდგომარეობა ფანატიკოსის მდგომარეობას უახლოვდება. ყველა სახის ფანატიზმი მიუღებელია, მუსლიმი გამოავლენს მას თუ ქრისტიანი.

არავინ ხომ არ იგონებს, როგორ იხოცებიან ადამიანები. ათიათასობით ადამიანის სიკვდილზეა საუბარი. ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თუ უეცარი მატება იქნება, მერე გაუგონარი ქაოსი დაიწყება და ამას ვხედავთ ისეთ ძლიერ სახელმწიფოებში, როგორებიც არის იტალია, ესპანეთი, ამერიკა. ეს ქაოსი თავისთავად გააასმაგებს მსხვერპლს. ქაოსის დროს ყველაფერი წესრიგში რომც იყოს, მწყობრიდან გამოდის, თან ჯანდაცვის სისტემა ღიად ამბობს, რომ ჩვენი სისტემა ამ შემოტევას ვერ გაუძლებს.

ქრისტიანობა, უპირველესად ყოვლისა, მოყვასის სიყვარულია, არადა, ექიმები გვეუბნებიან, რომ ოჯახის წევრებს გავუფრთხილდეთ.

***– გია ვოლსკი აცხადებს, რომ ბევრს აქვს სურვილი, ე.წ. ეკლესიის კლასტერი გაჩნდეს, რაც არ უნდა დავუშვათ. რამდენად გადის ამ შემთხვევაში ეკლესია ბეწვის ხიდზე?***

– ეკლესია, სამწუხაროდ, ისე, რომ თვითონაც ვერ ხვდება, პოლიტიკური მძევალია. თუკი ხელისუფლებამ მთელი სიმკაცრით არ იმოქმედა და ამას მოჰყვება ტალღა, ხელისუფლების კრიტიკის საფუძველიც იქნება და ეკლესიისაც. აქ უკვე ორივეს ეკისრება პასუხისმგებლობა. იტყვიან, ხელისუფლებას შეეშინდა და ადამიანები გაწირაო.

***– რატომ წავიდა ხელისუფლება ამ რისკზე, რად უღირს?***

– როგორც ჩანს, მართლაც შეეშინდათ, რადგან, კაცმა არ იცის, ფანატიზმს მიახლოებული ხალხი როგორ მოიქცევა. ნებისმიერი ქვეყნისთვის ამ ტალღის გაჩენა სახიფათოა და, რა თქმა უნდა, სახიფათოა ჩვენთვისაც.

ისიც ხომ გასაგებია, რომ ახლა პოლიტიკური ჯგუფები სულგანაბულნი ელოდებოდნენ ხელისუფლების ფეხის დაცდენას. ეკლესიის ბევრი წარმომადგენელი შეიძლება თავისდაუნებურად დაეხმაროს ამ პოლიტიკურ ჯგუფებს ჩანაფიქრის განხორციელებაში. ბევრი ფაქტორი მუშაობს, ეს უკვე, ვინმეს უნდა თუ არა, პოლიტიკური პროცესია, ამიტომ ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას, რომ ვიღაცამ ეს პროცესი გამოიყენოს. ისიც ხომ ფაქტია, რომ გამომყენებელი ყოველთვის იყო და იქნება კიდეც. ამ შემთხვევაში, მე მეჩვენება, რომ არის ხალხი, ვინც დაინტერესებულია, რომ ეკლესიამაც და ხელისუფლებამაც შეცდომები დაუშვას და მერე თვითონ მიიღონ დივიდენდები. ეს უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ.



**თუ მოვლენები მართლაც ისე განვითარდა, როგორც ინფექციონისტები გვეუბნებიან, მაშინ პირველი ხალხი განუდგება ეკლესიას და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებს. ეს დიდ იმედგაცრუებას გამოიწვევს**

***– და პასუხისმგებლობა თავად უნდა აიღოს?***

– რა თქმა უნდა! წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ, შეიძლება, დამარცხებული ვიხილოთ როგორც ეკლესია, ისე ხელისუფლება, შეიძლება, ვიხილოთ ის, რის ნახვაც არავის გაუხარდება. ძალიან ბევრი ხიფათის შემცველია მრავალი მიმართულებით ეს გადაწყვეტილება. ღმერთმა დაიფაროს, თუ მართლაც ისე განვითარდა მოვლენები, როგორც ინფექციონისტები გვეუბნებიან, მაშინ პირველი ხალხი განუდგება ეკლესიას და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებს მას. ეს დიდ იმედგაცრუებას გამოიწვევს. ამგვარი საქციელით ეკლესიამ, შეიძლება, მრევლი დაკარგოს. ეს აუცილებლად გამოიწვევს ეკლესიის დასუსტებას. ამით ხომ ის გაძლიერდება, ვინც ებრძოდა! ეს ხომ ლოგიკურია! ამიტომ სერიოზული დაფიქრებაა საჭირო.

კიდევ ვიმეორებ, ეს არ არის მხოლოდ რელიგიური საკითხი. ეს არის პოლიტიკური პროცესი. ეს პროცესი რეალურად გარკვეული პოლიტიკური ცვლილებებისკენ მიდის. იმედი მაქვს, ხელისუფლება ამ ჭრილშიც შეხედავს ამ საკითხს. მე ამ ყველაფერში საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ თამაშს ვხედავ.

***– ვისი მხრიდან?***

– ყველას მხრიდან, მაგრამ ისე, რომ რაღაცებს ვერც კი აცნობიერებენ. ვიღაცები უკვე შედეგების მოლოდინშიც კი არიან გატრუნულნი.

ბევრი მაღალი იერარქი გაგებით მოეკიდა არსებულ რეალობას და საკუთარი მრევლის წინაშე პასუხისმგებლობა აიღო. ეს მისასალმებელია.

# „ქართულ ოცნებას“ ეს რეიტინგი ხუხულასავით ჩამოენგრევა“

გულიკო ბალაძე



## მამუკა ტუსკაძე: „ყოფილიყო 4 ათასი ადამიანი დაავადებული, ოღონდ გახსნილიყო საზღვრები, კრიზისების პირველადი დახმარების ცენტრები, მაგრამ – მეტი კონტროლით“

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი, ადვოკატი **მამუკა ტუსკაძე** პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, თქვენი პოსტი წავიკითხე. ფაქტობრივად, განაწყენებული ხართ იმის გამო, რომ ხელისუფლებამ მთელი რიგი სამსახურები დახურა. როგორც ბევრ სხვას, თქვენც გინდათ, გაუქმდეს საგანგებო მდგომარეობა და აღდგეს ჩვეულებრივი ცხოვრება, რადგან ეს ადამიანებს ეკონომიკურ პრობლემებს უქმნის. ანუ შეზღუდვები საჭირო არ იყო?***

– მდგომარეობა ასეთია: რეალურად, მართლა საჭირო იყო შეზღუდვების დაწესება, რადგან ხალხმა ვერ გაითავისა კორონავირუსთან დაკავშირებული პრობლემის აქტიურობა და სიმძაფრე, თუმცა, ამავდროულად, სახელმწიფოს შეეძლო, მეტი რესურსი გამოეყენებინა.

***– რას გულისხმობ?***

– ძალიან არაპოპულარულ რაღაცას ვამბობ, მაგრამ შეიძლებოდა ყოფილიყო, ვთქვათ, 300-ის მაგივრად 600 დაავადებული, მაგრამ ხალხი მშიერი არ ყოფილიყო.

***– ახლა ხალხი მშიერია?***

– კი, უკვე მშიერია ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც სახელმწიფო-საჯარო სამსახურებში მუშაობდნენ. აქ საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყოველდღიურ საქმეში გამომუშავებაზე არიან და ისე აქვთ შემოსავალი. ის ადამიანები მძიმე მდგომარეობაში არიან. ამის შედეგებს ჩვენ არათუ 2-3 კვირაში, არამედ ახლა, აღდგომის დღესასწაულებზე, 2-3 დღეში ვიგრძნობთ. ძალიან ცუდი პერსპექტივა ჩანს.

ეს საქართველოში გამოიწვევს როგორც კრიმინალური მდგომარეობის უარესობისკენ შეცვლას, ასევე ბევრ უარყოფით ფაქტს, მაგალითად, სუიციდის შემთხვევებს.

***– ამ სიტუაციაში ხელისუფლებამ რა უნდა ქნას?***

– ხელისუფლებამ უნდა დადოს ეკონომიკური პროგრამა, 2020 წლის შეცვლილი ბიუჯეტი, რომელიც მორგებული იქნება დღევანდელ მდგომარეობასა და კორონავირუსის პერიოდში ცხოვრებაზე.

დაახლოებით 14-15 მილიარდი ლარის ბიუჯეტი გვქონდა. ახლა რომ დათვალო, რამდენი ჩაირიცხა და რა შემოსავლებსაც ველოდებით, საქართველოს ბიუჯეტი, რეალურად, მაინც ივსება, რადგან მსოფლიო ფონდებმა თანხები გამოყვეს – საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი ლუკმა შეხვდა და შიში იმისა, რომ თანხები არ ეყოფა, არ არსებობს.

ამიტომ, ვფიქრობ, თუნდაც ახლა რაც გააკეთეს, იმ რეალობის წინაშე დავდექით, რომ არაპირდაპირი გზით ადამიანებს წინაპრების საფლავებზე მისვლა აუკრძალეს. ეს ძალიან ცუდია.

ახლა ხელისუფლება თავისი რეიტინგის ზენიტშია. 2011 წლიდან დღემდე „ქართულ ოცნებას“ ასეთი მაღალი რეიტინგი არ ჰქონია, მაგრამ ეს რეიტინგი ხუხულასავით ჩამოინგრევა, თუ რაც შეიძლება სწრაფად არ დადებს ახალ ბიუჯეტს.

***– გუშინ ეკონომიკური გუნდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ისაუბრა გარკვეული თანხების მოზიდვაზე, საიდანაც 200 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტში გაიგზავნება. ალბათ, ეს აისახება იმ ადამიანებზე, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.***

– კი, თუ სული მიატანა ადამიანმა იმ ბიუჯეტის გამოყენებამდე. ეს არის ძალიან რთული. მეორე მხრივ, მაგალითად, საპენსიო და კომუნალური შეღავათების გაკეთება კარგი იყო, თუმცა ეს არაფერი არ არის – ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც კორონავირუსმა ხალხს დამართა. ახლა კორონავირუსით გამოწვეული პრობლემების პროცესში ვართ. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, ვინ უნდა აგოს პასუხი.

***– პასუხი ვინ უნდა აგოს?***

– ვიცით, პასუხი ვინც უნდა აგოს? სახელმწიფო უნდა იყოს მაგარი. ამ წუთის მონაცემებით, სახელმწიფო კარგად მოქმედებს, მაგრამ ცუდი პერსპექტივაა, რადგან ჯანდაცვას ძალიან გადაჰყვნენ. ჯანდაცვას გადაჰყვნენ, ეკონომიკურ მდგომარეობასა და იმ კატასტროფას კი, რომელიც საქართველოს მაისში, ივნისსა და ივლისში ელოდება, ყურადღება ნაკლებად ექცევა.

***– ალბათ, ვითარების გამო.***

– შეიძლება, ვჩქარობ, მაგრამ ეკონომიკური პრობლემები სასწრაფოდ არის მისახედი.

***– პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ცდილობენ, პოსტკორონავირუსულ პერიოდში ეკონომიკური ჩავარდნა არ იყოს.***

– მცდელობა საკმარისი არ არის. მე რომ პრემიერი ვიყო, ამას ქმედებით გავაკეთებდი. განსხვავება ამაშია. პრემიერი ისე არ უნდა ლაპარაკობდეს, როგორც ერთი პოლიტიკოსი. ბერკეტი პრემიერის ხელშია.

ძალიან არაპოპულარული ნათქვამია, მაგრამ ჯობდა, დღეს გვყოლოდა 600 დაზარალებული, რომელთა გამოჯანმრთელებას, ღმერთის წყალობით, ჩვენი ექიმები ახერხებენ, ვიდრე 600 პოტენციური მშიერი მოქალაქე გვყავდეს. უნდა მოეხერხებინათ და რაღაცნაირად ორივე სფერო, ჯანდაცვა და ეკონომიკა, ერთდროულად ეკონტროლებინათ, რათა ეკონომიკური ზიანი რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო.

***– თქვენი აზრით, რა უნდა ექნა ხელისუფლებას, საზღვრები არ უნდა დაეკეტა და მკაცრი ზომები არ უნდა მიეღო?***

– ყოფილიყო 4 ათასი ადამიანი დაავადებული, ოღონდ ყოფილიყო გახსნილი საზღვრები, კრიზისების პირველადი დახმარების ცენტრები, მაგრამ – მეტი კონტროლით. იგივე თუნდაც ყოფილიყო სამსახურები დაშვებული ჩვეულებრივად, მაღაზიები, ყველაფერი და სახელმწიფოს პოლიციითა და ჯარით ეკონტროლებინა.

რადგან ადამიანები თვითონ არ სცემენ ერთმანეთს პატივს და ვერ აკონტროლებენ სოციალურ დისტანციას, ვერ იცავენ ჰიგიენურ ნორმებს, სახელმწიფოს ეკონტროლებინა, თუნდაც მკაცრად. პრემიერი მე რომ ვყოფილიყავი, ასე გავაკეთებდი.

***– დღეს რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ? საგანგებო მდგომარეობა უკვე გააგრძელა 10 მაისამდე.***

– ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გააგრძელა, რაც კარგია. შეიძლებოდა, მეტი ხნითაც, მაისის ბოლომდეც გაეგრძელებინა.

***– ქალაქებიც ჩაკეტა.***

– ქალაქებიც ჩაკეტა და ამით, რეალურად, სასაფლაოები დახურეს. ქუთაისში, ზესტაფონში სასაფლაოები დახურეს. კურიოზი ის არის, რომ 15 აპრილის 5 საათამდე უნდა მოესწროთ წასვლა. იმავე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, 16-ში, 17-ში რომ გაუჩნდეთ საშუალება, როგორ უნდა მიაღწიონ, ვთქვათ, ხობამდე?

***– თქვენი პოზიცია გასაგებია, მაგრამ ხელისუფლებამ ეს გზა აირჩია. დაავადებულთა რიცხვი ასტრონომიულად რომ გაზრდილიყო?***

– ხელისუფლებაში ჩვენ დაქირავებული გვყავს 18 ათასი ჯარისკაცი და 22 ათასი პოლიციელი, რაც ჯამში არის 40 ათასი. ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და ჯარისა და პოლიციის მეშვეობით ვითარება აკონტროლოს.

# ჯონდი ბაღათურია: „აღდგომის ღამეს ადამიანებისთვის ეკლესიაში წასვლა ძალიან რთული იქნება“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **ჯონდი ბაღათურია** პასუხობს.

***– ბატონო ჯონდი, კორონავირუსმა ძალიან შემოგვიტია. ამ პირობებში მოახლოებულია უდიდესი საუფლო დღესასწაული, აღდგომა. ამ ვითარებაში, ერთი მხრივ, არის ეკლესიაზე შეტევა, მეორე მხრივ, კორონავირუსის გამო მართლა საშიშია ეკლესიაში მასობრივი შეკრება. თქვენ რა პოზიცია გაქვთ, როგორ უნდა დავიცვათ ოქროს შუალედი?***

– კორონავირუსის გამოყენება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის არაკეთილსინდისიერი, არაგონივრული საქციელია. საზოგადოება გაიყო რამდენიმე ნაწილად. ერთ ნაწილს ჰქონდა და ახლაც აქვს ეკლესიაში წასვლის დიდი სურვილი, მაგრამ დაბრკოლდა და ვირუსის ეპიდემიის შიშმა გადააწყვეტინა, სახლში დარჩეს. ეს ადამიანის ძალიან ნორმალური რეაქციაა.

იმ ღამეს, როცა ქრისტე გაასამართლეს და ჯვარს აცვეს, მოციქულებიც კი შეშინდნენ და დაიმალნენ. მოციქულთა თავმა პეტრემ სამჯერ უარყო ქრისტე, სამჯერ თქვა, ქრისტეს საერთოდ არ ვიცნობო. ამიტომ არავის აქვს უფლება, ის ადამიანები განიკითხოს, რომლებიც ვირუსის შიშით, უგუნურებით ან სხვა მიზეზებით ვერ მიდიან ეკლესიაში.

***– მღვდლებიც ამბობენ, რომ თუ ადამიანები ვერ ან არ მივლენ ეკლესიაში, არ მიიჩნევენ ცოდვად.***

– რა თქმა უნდა, ამას ამბობს ეკლესიაც და ყველა საეკლესიო პირიც, პატრიარქით დაწყებული. აქ ძალიან მნიშვნელოვანია მეორე მომენტი – საზოგადოების მეორე ნაწილს, რომელმაც გადაწყვიტა, ეკლესიაში მივიდეს, განა არ ეშინია. შიში კი ნორმალური ადამიანის გასაგები და ჩვეულებრივი რეაქციაა საფრთხისადმი.

***– მეორე ნაწილზე რას იტყვით?***

– მეორე ნაწილს ულმერთოდ დარჩენის უფრო მეტად ეშინია და ამიტომ გადაწყვიტა, მივიდეს ეკლესიაში. შეიძლება, ეკლესიაში წამსვლელს უფრო ეშინია, მაგრამ საზარელი შიშია ულმერთოდ დარჩენის შიში. წარმოიდგინეთ, ადამიანი დიდ ტალღებში ნავზე რომ იყოს და საჭე არ ჰქონდეს, თან ქარიშხალში მოჰყვეს. ასეთი განცდაა ადამიანისთვის, თუკი ის ღმერთს შორდება.



***– მორწმუნე საზოგადოების რაღაც ნაწილი სხვა დროსაც ვერ მიდიოდა აღდგომის ღამეს ეკლესიაში.***

– რა თქმა უნდა, ყველა ყოველთვის ვერ მივა. კორონავირუსს თავი რომ დავანებოთ, დღეს ისეთი მოცემულობაა, ყველა ეკლესიაში ვერ მივა, ძალიან რთულია. 9 საათზე ეკლესიაში რომ იყო, 8 საათზე მაინც უნდა წახვიდე და დილის 6 საათამდე იქ უნდა იყო. 10-11 საათი ფეხზე დგომა მოუწევთ. ამიტომ ადამიანებისთვის ძალიან რთული იქნება წასვლა.

არის საზოგადოების მესამე ნაწილი, რომელიც შექმნილი მდგომარეობით სარგებლობს.

***– როგორ?***

– საზოგადოების მესამე ნაწილი ცდილობს, ადამიანთა რელიგიური გრძნობები დაამციროს, უნდა, ეკლესიაში წასულები და სახლში დარჩენილები ერთმანეთს დააპირისპიროს.

***– არის კიდევ ეპიდემიოლოგების მოწოდებები და რჩევები, რომ ადამიანები სახლში დარჩნენ.***

– ეპიდემიოლოგების მოწოდებებს ვუსმენ. დღეს საზოგადოების ნაწილს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ სახლში დარჩეს, ნაწილს კი წასვლა აქვს გადაწყვეტილი. როგორც ერთ ნაწილს ეპიდემიის დიდი შიში აქვს, ასევე დიდი შიში აქვს მეორე ნაწილს ულმერთობის. მინდა, მორწმუნე ადამიანის ფსიქოლოგიაში ჩაგახედოთ.

***– გახარიამ განაცხადა, რომ საქართველო მართლმადიდებლური სახელმწიფოა და ამას საზოგადოების ერთი ნაწილის კრიტიკა მოჰყვა.***

– გახარიამ ძალიან კარგად და გასაგებად თქვა ყველაფერი. ბოლო დროს ძალიან ბევრ რამეში ვეთანხმები მთავრობას. რაც შეეხება აღდგომის ღამის მიმართ მთავრობის დამოკიდებულებას, მესმის, მათი მიზანი რა არის, მესმის, რაც უნდათ, რა ამოძრავებთ, მაგრამ არ ვეთანხმები.

# რუსეთი საინფორმაციო შეტევებს კორონაკრიზისის დროსაც აგრძელებს

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ გარკვეული წრეების მხრიდან გახშირდა გზავნილების გავრცელება იმის თაობაზე, რომ ამ მძიმე სიტუაციაში დასავლეთმა მიგვატოვა და ქვეყნის ერთადერთი მხსნელი რუსეთია.

აღმოჩნდა, რომ საინფორმაციო ომს რუსეთი კორონაკრიზისის დროს ევროპაშიც აგრძელებს და აძლიერებს კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ნავთობის ბრძოლა წააგო, დაკარგა დიდი შემოსავლები და უარესად გააღარიბა საკუთარი მოსახლეობა, ტროლების ფაბრიკისა და რუსული პროპაგანდის დაფინანსება იზრდება. ეს აუცილებლად აისახება საქართველოზე.

მარტში ევროკავშირის საინფორმაციო უზრუნველყოფის სტრუქტურებმა დააფიქსირეს რუსეთის მხრიდან 150-ზე მეტი საინფორმაციო შეტევა. ყველა მათგანი მიმართული იყო ევროკავშირის წინააღმდეგ. გზავნილების შინაარსი ასეთია – ევროკავშირი იშლება. ის არაეფექტურია და ვერ ებრძვის ინფექციას.

უკრაინელი ექსპერტების შეფასებით, რუსეთი კატასტროფის წინაშეა. მასზე იმოქმედა კორონავირუსმა, ეკონომიკურმა ვარდნამ და სანავთობო ომმა. ნავთობის ფასების დაცემამ, რასაც მოსკოვისთვის კაპიტულანტური და სამარცხვინო ზავის დადება მოჰყვა, ქვეყნის ეკონომიკა შეარყია.

პუტინს საკუთარი ხალხის კეთილდღეობის დაქვეითება ბევრად უფრო ნაკლებად აღელვებს, ვიდრე გეოპოლიტიკური წარმატებები.

მათი თქმით, პუტინი ცდილობდა, მოეგო ომი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების (ოპეკის) ორგანიზაციასთან და ჩაეძირა აშშ-ის ენერგეტიკული დარგი, მაგრამ დამარცხდა. ამ ეფემერული გამარჯვებების მოლოდინში რუსეთის მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა დაეცა.

თებერვალ-მარტში გაკოტრების კერძო შემთხვევები 70%-ით გაიზარდა. უკრაინელი ავტორების ინფორმაციით, რუსეთის სასურსათო მაღაზიებში მყიდველები საქონლის გამო ერთმანეთთან ჩხუბობენ.

საქართველოში რუსეთიდან ნაკლები ფული შემოდის. ოფიციალური მონაცემებით, მარტში რუსეთიდან ფულის გამოგზავნა, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 28,3%-ით ნაკლებია.

ამის მიზეზად სახელდება კორონავირუსის გამო შემოღებული შეზღუდვები.

ექსპერტების აზრით, რუსეთი იქცევა ისევე, როგორც მისი წინაპარი საბჭოთა კავშირი. სსრკ-ც შიდა პრობლემებზე მაღლა აყენებდა საგარეო პოლიტიკურ შესაძლებლობებს. ნავთობის ფასები 80-იან წლებშიც დაეცა, მაგრამ საბჭოთა კავშირი მზად იყო, მილიარდები ეხარჯა ავღანეთში შეჭრასა და იქ ყოფნაზე. კრემლი დღესაც ზრდის ტროლების ფაბრიკისა და პროპაგანდის დაფინანსებას.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ რუსეთის მოსახლეობაში სიღარიბის ზრდა და მასობრივი პროტესტი პუტინს არ აშინებს. ამის გამო იგი არ გადახედავს თავის საგარეო პრიორიტეტებს. მისთვის საგანგაშო იქნება მხოლოდ რუსეთის ელიტების უკმაყოფილება. თუ ელიტას, რომელიც რუსეთის სიმდიდრის დიდ წილს ფლობს, რამე დაემუქრა, მაშინ პუტინიც შეწუხდება და მას საგარეო პოლიტიკის შეცვლა მოუწევს.

როგორც ცნობილია, პანდემიის გამო მსოფლიოში გამოითქვა მოწოდებები მოქმედი სანქციების მოხსნის თაობაზე.

დასავლეთმა რუსეთს სანქციები 2014 წლიდან დაუწესა. აშშ დროდადრო მათ ამკაცრებდა და აფართოებდა. არსებობს მოსაზრება, რომ სანქციების გაუქმების პირობად მოსკოვს უნდა წაუყენონ დათმობების მოთხოვნა ყირიმის, დონბასისა და სხვა პრობლემებზე.

უკრაინელ ექსპერტებს იმედი არა აქვთ, რომ რუსეთს რამეს დაათმობინებენ.

კრემლის გარდა, რუსეთი თავის იმპერიულ ამბიციებს სხვადასხვა ორგანიზაციის ხელით ამყარებს. ამერიკული მედია ყურადღებას ამახვილებს რუსეთის ერთ გაერთიანებაზე, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უცხოური ტერორისტული ორგანიზაციების რიცხვს მიაკუთვნა.

„რუსული იმპერიული მოძრაობა“, რომელიც ტერორისტულად შეფასდა, თავის თავს რუსეთის მართლმადიდებლურ-მონარქისტულ მოძრაობას უწოდებს. ის ყველაზე ხშირად აკეთებს ანტისემიტურ და ლგბტ-პირების საწინააღმდეგო განცხადებებს.

ამ მოძრაობას, რომელიც საერთაშორისო სახეს იღებს, ევროპაშიც საფრთხეს უწოდებენ. ევროპელი ანალიტიკოსების აზრით, ორგანიზაცია პუტინის მიერ არ იმართება, თუმცა ამ მოძრაობისა და კრემლის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

მოსალოდნელია, რომ „რუსული იმპერიული მოძრაობა“ თავის ქსელს პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც, განსაკუთრებით, მართლმადიდებლურ სახელმწიფოებში გააბამს.

## 17 აპრილის 12 საათიდან 21 აპრილის ჩათვლით საქართველოში მსუბუქი მანქანით გადაადგილება სრულად აიკრძალა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მკაცრად დავიცვათ ისინი და ამით გადავარჩინოთ ჩვენი ახლობლების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც იმნაძემ აღნიშნა, საზოგადოებამ მაქსიმალურად უნდა დაიცვას სოციალური დისტანცირება, რადგან საზოგადოებაში არის შემთხვევები, რომლებიც ჩვენ არ ვიცით და ისინი არ არის ცოტა.

– სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არის შემთხვევები, რომლებიც ჩვენ არ ვიცით და ისინი არ არის ცოტა. ისინი ჩვენ გვერდით არიან და ისინი ჩვენ შეიძლება ყველგან შეგვხვდნენ. ამიტომ დღეს უკვე ნებისმიერი თავყრილობა, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ხვდება თავისი ოჯახის გარეთ, ნებისმიერ სხვა სივრცეში ბევრ ადამიანს, უკვე წარმოადგენს საფრთხეს.

ამ ადამიანებმა არ იციან, რომ ისინი არიან დაავადებულები, მაგრამ ისინი შეიძლება იყვნენ გადამდები. აქედან გამომდინარე, დღეს აუცილებელი ხდება, მოვერიდოთ ერთმანეთს. სამწუხაროდ, ეს უნდა ვთქვა, უნდა მოვერიდოთ ერთმანეთს! მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებმა, ვინც აუცილებელ სამსახურში არიან, უნდა გააგრძელონ სამსახური, მაგრამ, როდესაც ისინი ოჯახებში ბრუნდებიან, უნდა მოერიდონ თავიანთი ოჯახის წევრებს.

ადამიანები უნდა მოერიდონ სხვა ადამიანებს. ეს არის სოციალური დისტანცირება. სხვა გზა არ არის, სხვანაირად ამ დაავადებას ვერ დავამარცხებთ! ამიტომ ძალიან გთხოვთ ყველას, რომ გავითვალისწინოთ მთავრობის ახალი რეგულაციები, მკაცრად დავიცვათ ისინი და ამით გადავარჩინოთ ჩვენი ახლობლების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, – განაცხადა პაატა იმნაძემ.

# „საქართველოში ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეები მინიმუმამდეა შემცირებული“

## ალკვეთილ იქნა „რბილი ძალის“ ფარგლებში დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება და აქტივობა

სუსის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილ ანგარიშში განხილულია 2019 წელს საქართველოს წინაშე არსებული ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული საპასუხო ზომები.

საქართველოსთვის მთავარ გამოწვევად რჩება რუსული ოკუპაცია. 2019 წელს საოკუპაციო ძალების უკანონო აქტივობებმა კრიტიკულად დაძაბა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და, ზოგადად, რეგიონში არსებული ვითარება. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ განვითარებული მოვლენები. ოკუპირებულ რეგიონებში უკანონოდ წარმოდგენილი რუსული სამხედრო კონტინგენტისა და სპეცსამსახურების აქტივობები საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ასევე რეგიონისა და ევროპის უსაფრთხოებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა შესაბამისი უწყებების კოორდინირებული მუშაობის შედეგად საქართველოში ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეები მინიმუმამდეა შემცირებული.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში დაფინანსებული, მართული თუ სხვადასხვა ფორმით მხარდაჭერილი ორგანიზაციების, პირებისა და ჯგუფების გამოვლენისა და მათგან მომდინარე საფრთხეების შემცირება-განეიტრალების მიზნით.

აღკვეთილ იქნა გარკვეული აქტივობები, სადაც იგეგმებოდა საქართველოს მოქალაქეებში დესტრუქციული განწყობების გაღვივება. თავიდან იქნა აცილებული ცალკეული პირების ჩართვა ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაგეგმილ მსგავს პროექტებში. ხორციელდებოდა შესაბამისი სასაზღვრო კონტროლი და განეიტრალდა ეთნიკური დაპირისპირებების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანის მცდელობები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების ფარგლებში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა ვითარების კონტროლი. 2019 წელს აღკვეთილ იქნა „რბილი ძალის“ ფარგლებში დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება და აქტივობა, სადაც გამოვლინდა პროპაგანდისტული, სეპარატისტული, აკრძალული სიმბოლიკის (მათ შორის, საბჭოთა) გამოყენების ან სხვა სახის დესტრუქციული საქმიანობის მცდელობა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა შესაბამისი უწყებების კოორდინირებული მუშაობის შედეგად საქართველოში ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეები მინიმუმამდეა შემცირებული.

საქართველოს მიერ ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში გაწეული ძალისხმევა და განხორციელებული აქტივობები ასევე პოზიტიურად არის შეფასებული ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ ევროკავშირის ყოველწლიურ ანგარიშში. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველო განაგრძობდა „დაეშის“ წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის აქტიურ მხარდაჭერას.

ამასთან, მნიშვნელოვანია „ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიში „გლობალური ტერორიზმის ინდექსი“, რომლის მიხედვით, საქართველო ტერორიზმის ზეგავლენის კუთხით ძალიან დაბალი რისკის მქონე ქვეყნებს შორისაა.

### სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა პარლამენტს საქმიანობის 2019 წლის ანგარიში წარუდგინა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოში ექსტრემისტული იდეების გამავრცელებელი აქტიური კერები არ დაფიქსირებულა. ამავე პერიოდში არ გამოვლენილა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს მოქალაქეების გამგზავრების ფაქტები.

გატარებული ღონისძიებების შედეგად საქართველოში მყოფი ტერორიზმის შესაძლო მხარდამჭერი პირებისა და პირთა ჯგუფების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შესუსტდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად, ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა საქართველოში კრიტიკულად შემცირდა.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობები. 2019 წელს სააგენტოს შემადგენლობაში შეიქმნა კორუფციის პრევენციის სამსახური.

2019 წლის განმავლობაში ანტიკორუფციულ სააგენტოში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 91 საქმეზე, ხოლო ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 135 პირი.

❖ ❖ ❖

– იმის მიუხედავად, რომ 2019 წელს საქართველოს წინააღმდეგ იყო სერიოზული გამოწვევები, მათ შორის, ჰიბრიდული ომის თვალსაზრისით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ამ ყველაფერს უფრო მეტად ორგანიზებული, მაღალი კვალიფიკაციით და სწორი რეაგირების ფორმებით შეხვდა, რასაც ვკითხულობთ კიდეც ანგარიშში, – ასე აფასებს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის ანგარიშს.

ირაკლი სესიაშვილის თქმით, მსოფლიოში საფრთხეები, რისკები და შესაბამისი ჰიბრიდული ომის ელემენტები ტრანსფორმაციას განიცდის და ამიტომ გამოწვევები მუდმივად იზრდება. ამ კონტექსტში, კომიტეტის თავმჯდომარე საერთაშორისო პარტნიორობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას.

მისივე შეფასებით, გასული წელი ჩვენი ქვეყნისთვის რთული იყო და მთავარ საფრთხედ ისევ რუსული ოკუპაცია და ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება რჩება.

– იმის მიუხედავად, რომ სერიოზული გამოწვევები იყო, მათ შორის, ჰიბრიდული ომის თვალსაზრისით საქართველოს წინააღმდეგ 2019 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უფრო მეტად ორგანიზებული, მაღალი კვალიფიკაციით და სწორი რეაგირების ფორმებით შეხვდა ამ ყველაფერს, რასაც ჩვენ ვკითხულობთ კიდეც ანგარიშში. განსაკუთრებით, აღსანიშნავია ის, რომ საქართველო ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით, არის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და დაცული ქვეყანა, მათ შორის, აღსანიშნავია ჩვენი პარტნიორული თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან, ნატოს წევრ ქვეყნებთან და ამ მხრივ ჩვენი თანამშრომლობა და ურთიერთკავშირი მომავალშიც გაგრძელდება, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

მისივე თქმით, ჩანს რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სისტემურად არის გამართული კიბერუსაფრთხოების, კონტრდაზვერვითი და ანტიკორუფციული საქმიანობის მიმართულებითაც.

კომიტეტის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ ჰიბრიდული ომის ელემენტების ტრანსფორმაციასთან ერთად, სისტემა კიდევ უფრო დაიხვეწება.

– ანგარიშის მოსმენა მოხდება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში და შემდგომ უკვე მისი საჯარო განხილვა მოხდება პლენარულ სხდომაზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ იმას, რასაც ჩვენ ვკითხულობთ, ეს არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო, ღია ანგარიში, მაშინ, როდესაც უწყების საქმიანობის უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია საიდუმლო ოპერატიულ საქმიანობასთან და ცხადია, ჩვენ შესაბამის ფორმატში გვექნება საშუალება, პარლამენტში, სიღრმისეულად გავეცნოთ ყველა იმ რეალურ საფრთხეს, გამოწვევას და ასევე გავეცნოთ, თუ რა კონტრღონისძიებებით უპასუხა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, – განმარტა ირაკლი სესიაშვილმა.

❖ ❖ ❖

– უსაფრთხოების გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, დასაფასებელია და ეს შემთხვევით არ ხდება, – ამის შესახებ ბრიგადის გენერალმა, ანალიტიკოსმა სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძემ მედიაჰოლდინგ „კვირასთან“ საუბრისას განაცხადა.

სალუქვაძემ სუს-ის 2019 წლის ანგარიში შეაფასა.

– მთლიანობაში კარგი ანგარიშია, მოცულობითი. ტრადიციულად ეს ანგარიშები, რომელსაც უსაფრთხოების სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს, მოიცავს სხვადასხვა სფეროს, გამოწვევებს. რა თქმა უნდა, მთავარი პრიორიტეტი ესაა ოკუპაციიდან მომავალი საფრთხეები, ის მდგომარეობა, რაც შექმნილია საოკუპაციო ძალის მხრიდან, განსაკუთრებით საოკუპაციო ზოლთან მიმდინარე დარღვევები და აგრესიული ქმედებები ორივე რეჟიმის მხრიდან.

აღწერილია სხვადასხვა გამოვლინება და შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა წელს, მათ შორის ჩვენს თანამოქალაქესთან, კვარაცხელიასთან მიმართებით, როგორც იცით, ლეტალურად დამთავრდა და აცხადებდნენ, თითქოს თავი ჩამოიხრჩო.



რა თქმა უნდა, ოკუპაციის შემდეგ ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა ესაა თავად ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან მომდინარე საფრთხეები. ანგარიშში საუბარია რბილ ძალაზე საინფორმაციო ომზე და ა.შ. საკმაოდ ვრცელი ანგარიშია და ვრცელი თავი ეთმობა ამ ნაწილს, ამ საფრთხეებს. საუბარია ასევე სხვა გამოწვევებზე, მათ შორის ტერორისტულ საფრთხეებზე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა შარშან დაამტკიცა ანტიტერორისტული სტრატეგია და, იმედია, ეს სტრატეგია ამოქმედდება სრულად და უფრო მეტად განამტკიცებს ქვეყნის უსაფრთხოებას ამ კუთხით. ასევე საუბარია სხვა საფრთხეებსა და გამოწვევებზე, ეს იქნება კორუფციასთან ბრძოლა, ეკონომიკური საფრთხეები და ა.შ.

თვალში მომხვდა კონტრდაზვერვითი ღონისძიებების კუთხით გატარებული ზომები. დეტალები, რა თქმა უნდა, ანგარიშში არ იწერება, 13 სისხლის სამართლის საქმეა ამ კუთხით დაფიქსირებული, – განაცხადა სალუქვაძემ.

მისივე თქმით, ქვეყნის უსაფრთხოება ყველა ძალოვანი სტრუქტურის ერთობლივი საქმიანობის შედეგია.

– საერთოდ, არ ვაფასებთ უსაფრთხოების იმ გარემოს, რომელიც შექმნილია სახელმწიფოში, თუნდაც ტერორისტული კუთხით, იმ სპეცოპერაციების შემდეგ, რომლებიც საქართველოში განხორციელდა, საკმაოდ სერიოზული მითქმა-მოთქმა იყო, იმის ნაცვლად, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში სახელმწიფოს, სპეცსამსახურებს დავუდგეთ ხოლმე გვერდში და დავაფასოთ მათი შრომა, პირიქით ხდება და ვებრძვით ამ უსაფრთხოების სისტემას.

ამიტომ, ვფიქრობ, უსაფრთხოების გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, დასაფასებელია და ეს შემთხვევით არ ხდება. რა თქმა უნდა, ამაში არ მონაწილეობს მხოლოდ სუს-ი, ეს ყველა ძალოვანი სტრუქტურის ერთობლივი საქმიანობაა, დაწყებული დაზვერვით, დამთავრებული სხვა სტრუქტურებით, ეს იქნება თავდაცვა, შსს. რა თქმა უნდა, წამყვანი როლი შიდა უსაფრთხოებაში უკავია სუს-ს ამიტომ, შედეგებით ფასდება ხოლმე მათი საქმიანობა, – განაცხადა ამირან სალუქვაძემ „კვირასთან“ საუბრისას.

---

# „მეზობლებმა გამოვიძახეთ პატრული. ეტყობა, შიმშილისგან გაითიშა“

## ვაკეში მამაკაცი გარდაიცვალა

ჭავჭავაძის 48/2-ში გოგი ელიავა გარდაიცვალა. მისი მეზობელი, ნინო ბოჭორიშვილი ამბობს, რომ ის სიღარიბის გამო შიმშილობდა.

7 აპრილის ღამეს კი მის სახლს ცეცხლი გაუჩნდა და პატრულმა კარი შეამტვრია, თუმცა ვერ გადაარჩინეს.

– ეტყობა, გაითიშა შიმშილისგან, – გვითხრა ბატონი გოგის მეზობელმა, რომლის თქმითაც, ის მარტოხელა იყო, თუმცა ყოველთვის ჰქონდა შეკვეთები, ვიდრე „ეს წყეული ამბები დაიწყებოდა“.

– მისი ბინა რომ გენახათ, თქვენც დარწმუნდებოდით ამაში. იქ არც საჭმელი იყო, არც პური და, ერთი სიტყვით, ძალიან ცუდი სიტუაცია დაგხვდებოდათ, – ამბობს გოგი ელიავას მეზობელი ნინო ბოჭორიშვილი ჩვენთან საუბრისას.

– ქალბატონო ნინო, რა მოხდა 7 აპრილს?

– 7 აპრილის ღამეს, კომენდანტის საათი იყო უკვე დაწყებული და სადარბაზოში დადგა საშინელი დამწვრის სუნი. მივხვდით, რომ ამ მეზობლის სახლში ხდებოდა რაღაც. გამოვიძახეთ პატრული.

კარი, რა თქმა უნდა, ვერ გააღეს და, იძულებული გახდნენ, გადაეხერხათ....

ძლივს მიუსწრეს, კაცი უკვე იწვოდა....

ეს იყო საოცრად ნაკითხი ადამიანი, ჩუმი ინტელიგენტი.

მარტო ცხოვრობდა, არავის აწუხებდა და ასეც მოკვდა. საქართველოში ხომ ასე ხდება.

მეზობლებმა გამოვიძახეთ პატრული. ეტყობა, გაითიშა შიმშილისგან. სიგარეტს მოუკიდა, გონი დაკარგა და ცეცხლი წაეკიდა ლეიბს. საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ გარდაიცვალა.

– მეზობლები ამბობენ, რომ მამაკაცმა გონი შიმშილის გამო დაკარგა?

– რა თქმა უნდა. მისი ბინა რომ გენახათ, თქვენც დარწმუნდებოდით ამაში. იქ არც საჭმელი იყო, არც პური და, ერთი სიტყვით, ძალიან ცუდი სიტუაცია დაგხვდებოდათ.

– უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ მოგვიყვეთ, რა სურათი დაგხვდათ მის ბინაში?

– მე მასთან ნამყოფი ვარ და ვიცი, იქ რაც ხდებოდა, პურის ქერქს თუ იპოვიდით სადმე, მაგრამ, ისეთი ადამიანი იყო, რომ ამას არსად იტყოდა.

ცხელი კერძი თუ მქონდა, ყოველთვის ჩამქონდა და საწყალს უხაროდა. მიუხედავად ამისა, გაჭირვებას მაინც არ იმჩნევდა.

– როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, გარდაცვლილს დენი გათიშული ჰქონდა. ასეა?

– დიახ, დენს ხშირად უთიშავდნენ ხოლმე და სანთლით იყო, თუმცა კონკრეტულად იმ ღამეს როგორ იყო, ნამდვილად არ ვიცი.

– რამდენი წლის იყო გოგი ელიავა, ჰყავდა თუ არა ახლობლები, მეგობრები, შვილები?

– საპენსიო ასაკს არ იყო მიღწეული, მუშაობდა და თავისი შემოსავალი ჰქონდა, სანამ ეს წყეული ამბები დაიწყებოდა. მუდმივად ჰქონდა შეკვეთები. მარტოხელა იყო.

გოგის არავის შეწუხება არ უყვარდა. ის, უბრალოდ, გადაღლილი იყო დღევანდელობით და ცხოვრებაზეც ხელი ჰქონდა ჩაქნეული.

**აიტივი.ჯი**

---

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 234 ფაქტი გამოავლინა



პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულებისა და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 234 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 15 აპრილის 21 საათიდან 16 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე მთელი ქვეყნის მასშტაბით 92 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების შეზღუდვისა და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 125 მოქალაქე დააჯარიმეს.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 13 პირი დააჯარიმეს.

პოლიცია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად განაგრძობს თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ კონტროლს. ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითიზოლაციის წესების დარღვევის 4 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

# აშშ-ის თავდაცვის მდივანი: „ჩინეთი გვატყუებდა"



აშშ-ის თავდაცვის მდივან მარკ ესპერის თქმით, მას სჯერა, რომ ჩინეთის მთავრობა იტყუებოდა და კორონავირუსთან დაკავშირებით რეალურ ინფორმაციას არ ამჟღავნებდა.

— ჩინელები ჩვენ გვატყუებდნენ, რეალურ ინფორმაციას არ აჟღერებდნენ თავიდანვე ვირუსის შესახებ. ასე რომ, არ მჯერა, რომ ისინი ახლაც სანდო არიან, — განაცხადა ესპერმა.

ახალი კორონავირუსი გასული წლის მიწურულს ჩინეთის ქალაქ უხანში გავრცელდა. ის თავდაპირველად ზღვის პროდუქტების ბაზრის მომუშავე რამდენიმე პირს ერთობლივად დაუდასტურდა.

მსოფლიო მედიამ და პოლიტიკოსებმა არაერთხელ დაადანაშაულეს პეკინი რეალური ინფორმაციის დამალვაში. მათი თქმით, ვირუსი არა დეკემბერ-იანვარში, არამედ ნოემბერში აღმოაჩინეს და ჩინეთის მთავრობა მის რეალურ მასშტაბსა და სიმძიმეს მალავდა.

# გერმანია მკაცრი ზომების შემსუბუქებას იწყებს



გერმანია გეგმავს, ეტაპობრივად მკაცრი ზომების შემსუბუქება დაიწყოს.

მედიის ინფორმაციით, მომავალი კვირიდან მცირე ზომის მაღაზიები გაიხსნება, ხოლო მაისიდან ბავშვები სკოლებში დაბრუნდებიან. სხვა ძირითადი შეზღუდვები 3 მაისამდე ძალაში დარჩება.

რაც შეეხება რესტორნებს, ბარებს, მასშტაბურ ღონისძიებებს, ისეთებს, როგორებიცაა ფეხბურთის მატჩები, კონცერტები და ფესტივალები, მათი დაშვების თარიღი უცნობია, თუმცა, „ბლუმბერგის" ინფორმაციით, აკრძალვა, სულ მცირე, აგვისტოს ბოლომდე გასტანს.

საკითხზე 15 აპრილს კანცლერმა ანგელა მერკელმაც ისაუბრა. მისი თქმით, ქვეყანაში კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში პროგრესი შეინიშნება, თუმცა „ეს პროგრესი მყიფეა".

16 აპრილისთვის გერმანიაში კორონავირუსის 134.753 შემთხვევა იყო გამოვლენილი. ვირუსს ქვეყანაში 3.804 ადამიანი ემსხვერპლა, რაც ინფიცირებულთა საერთო რაოდენობის 2.8%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დღეების განმავლობაში გერმანიაში ახალი შემთხვევების კლება შეინიშნება.

# რუსეთმა ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა გამოცადა



რუსეთმა ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა გამოცადა.

ამის თაობაზე პენტაგონის ანალიტიკოსები იუწყებიან. მათი განცხადებით, რაკეტა პლისეცკის პოლიგონიდან გაუშვეს. ის მოსკოვიდან 800 კილომეტრით არის დაშორებული.

— რუსეთი კვლავ კუნთებს ათამაშებს! — აცხადებენ ამერიკელი ექსპერტები.

# ლუკაშენკო: „კორონავირუსი ნარკომანებისა და მწეველებისთვის კარგი გაკვეთილია"

ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს თქმით, კორონავირუსი კარგი გაკვეთილია მწეველებისთვის.



— ეს კარგი გაკვეთილია ნარკომანებისა და მწეველებისთვის. ჩვენ ვხედავთ, რომ მათთან დაავადება პნევმონიაში გადადის ხოლმე. ეს კარგი გაკვეთილია, რომ ადამიანები დაფიქრდნენ, როგორ წარმართავენ საკუთარ ცხოვრებას ამ ე.წ. პანდემიის შემდეგ, — აღნიშნა ლუკაშენკომ.

ბელარუსში კორონავირუსით 4.204 ადამიანია ინფიცირებული. ვირუსს ქვეყანაში 40 ადამიანი ემსხვერპლა, თუმცა რამდენიმე დღის წინ ქვეყნის ლიდერმა განაცხადა, რომ „სუფთად კორონავირუსით" ბელარუსში არავინ მომკვდარა და არც მოკვდება.

# საბერძნეთში აღდგომაზე მოსახლეობის სახლში დარჩენას 52.000 პოლიციელი, ვერტმფრენები და დრონები გააკონტროლებენ

საბერძნეთში აღდგომაზე მოსახლეობის სახლში დარჩენას 52.000 პოლიციელი, ვერტმფრენები და დრონები გააკონტროლებენ.

2004 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ეს ქვეყანაში მიღებული უპრეცედენტო ზომაა.

ამასთან, საბერძნეთის მთავრობამ კიდევ ერთხელ მოუწოდა მოსახლეობას, რომ დღესასწაულზე ეკლესიებში არ წავიდნენ და არ შეიკრიბონ.

ქვეყნის პოლიციის ხელმძღვანელ სტავროს ბალსაკასის თქმით, ის იმედოვნებს, რომ ხალხი კანონს დაემორჩილება.

— ყველგან პოლიციელს ვერ დავაყენებთ. თუ ვნახავთ სადმე შეკრებილებს, დავაჯარიმებთ. ჩვენ ეკლესიებთან ვიქნებით და, იმედი გვაქვს, იქ ხალხი არ მივა, — აღნიშნა ბალსაკასმა.




მართლმადიდებელი სამყარო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს 19 აპრილს აღნიშნავს. მთელმა რიგმა სასულიერო ლიდერებმა მრევლს მოუწოდეს, ამ დღეებში ეკლესიებში მისვლისგან თავი შეიკავონ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# შიშველმა ქალმა პოლიციის მანქანაზე აძრომით თვითიზოლაცია გააპროტესტა

ესპანეთის მალაგის პროვინციის ქალაქ ტორემოლინოსში ქალი სრულიად გაშიშვლდა და პოლიციის მანქანაზე თვითიზოლაციის რეჟიმისადმი პროტესტის ნიშნად აძვრა. აღნიშნული შემთხვევა თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო, რომელიც შემდეგ ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



41 წლის ესპანელი ქალბატონი თვითიზოლაციის რეჟიმის დარღვევისთვის ადგილობრივი დროით დაახლოებით 20:00 საათზე დააკავეს. ის ხელს უშლიდა მეზობლებს, რომლებიც კორონავირუსთან მებრძოლ მედიკოსებს ტაშს უკრავდნენ. მას შემდეგ, რაც ქალი გირაოთი გაათავისუფლეს, მან ტანსაცმელი გაიხადა და პოლიციის მანქანის სახურავზე აძვრა. კადრებში ჩანს, თუ როგორ დგას პოლიციის მანქანის სახურავზე შიშველი ქერათმიანი ქალი და ხელებს იქნევს.

პოლიციელებმა ქალი მანქანის სახურავიდან ჩამოიყვანეს და სასწრაფო დახმარების მანქანაში მოათავსეს. სამართალდამრღვევის შემდგომი ბედი უცნობია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



# გიორგი კეკელიძე: „იტალია არ განმეორდება, იქნება ბევრად უარესი!"

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე მოხალისე გახდა და მარტოხელა მოხუცებს, სოციალურად დაუცველ და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს საჭირო პროდუქტებით ამარაგებს. ის გვაფრთხილებს, რომ საქართველოში იტალიაზე ბევრად უარესი მდგომარეობა იქნება:



— მეგობრებო, გარწმუნებთ: იტალია არ განმეორდება! არამედ იქნება ბევრად უარესი! რას გაშინებთ და იმას გაშინებთ, რომ იტალიას ჩვენზე გაცილებით ძლიერი ეკონომიკა და ჯანდაცვის სისტემა აქვს, ათასობით ქართველს ინახავს დღემდე და ის ქართველები აქეთ ინახავენ ასი ათასს.

ჯერ კიდევ არის დრო! დაფიქრდი და დარჩი სახლში!

მე მოხალისედ ვმუშაობ და ყოველდღე ვხედავ — ქუჩებში, უბნებში მრევლსა თუ ერს ეს ამბავი სხვა ოთახიდან გამოსული ფილმის ხმა ჰგონია. არადა, ეს სიკვდილის ხმაა და, თუ წავუყრუებთ, ძალიან, ძალიან ახლოდან გავიგონებთ!

გახსოვდეთ სიცოცხლე — თქვენიც და სხვისიც!

# ჯონი ჯანაშია: „ამპარტავნობა ყველაზე დიდი ცოდვაა"



მიაჩნია ექიმ ჯონი ჯანაშიას და წმინდა მამებს მოუწოდებს, ნუ აიღებენ უდიდეს ცოდვას საკუთარ თავზე:

— არა მგონია, ვინმემ გაკიცხოს ჩვენი ეკლესია, თუკი ამჯერად უარს იტყვის დოგმატური კანონიკური სააღდგომო რიტუალის ტრადიციულად ჩატარებაზე. უფრო იმ საშიშროებას ვხედავ, რომ ქართველებმა არ აქციონ ზურგი ეკლესიას, როცა აღდგომის შემდეგ ეპიდემია უმართავი გახდება. არადა, ამის საშიშროება აშკარაა და კუბოებს თვლა არ ექნება. წმინდა მამებო, დაფიქრდით და ცოდვას ნუ აიღებთ თქვენს თავზე. ამპარტავნობა ყველაზე დიდი ცოდვაა. უფალმა შემინდოს, თუ ვცოდავ!

# ალექსანდრე ლორთქიფანიძე სამღვდელოებას აკრიტიკებს



„წიგნების თაროს" წამყვანი ალექსანდრე ლორთქიფანიძე სასულიერო პირებს აკრიტიკებს და მათ ბოროტებს, ამპარტავნებსა და ხარბებს უწოდებს:

— ბოროტები, ამპარტავნები და ხარბები ხართ თქვენ! სხვა ახსნა არ არსებობს. ქრისტესგან ისე შორს ხართ, როგორც ქრისტე იყო შორს ზემოთ ხსენებული ცოდვებისგან.

ერზე არავითარი სულიერი ზრუნვა თქვენი საფიქრალი არაა, მხოლოდ ძალაუფლება და ფულია თქვენი საფიქრალი. გავლენის შენარჩუნება გაღელვებთ და პიედესტალზე დგომის პრივილეგია.

ადამიანები არ გაღელვებთ თქვენ, არც მათი ხორცი, არც მათი სული. დიდი მსხვერპლის შემთხვევაში კი მაქსიმუმ იმან აგაფორიაქოთ, რომ თქვენთვის მდიდრული საჩუქრების შემომწირველთა რაოდენობა დაიკლებს. უცნობია თქვენთვის მიტევებაც და გულმოწყალებაც, ძმის სიყვარულიც და სათნოებაც. თქვენს შავბნელ ზრახვებში კი ერთადერთი მიზანია: მეფობა. არა გლახაკობა და ქრისტესთვის დათმენა, არა სიკეთე და პატიოსნება. არა. მეფობა ამ ხორციელ სამყაროში, რადგან მიღმიერი სამყაროსი თავად არ გწამთ. იმიტომაც აღმერთებთ ოქროსა და ფუფუნებას, იმიტომაც გაქვთ ხოლმე მკაცრი იერი და მრისხანე ტონი, თქვენ ქრისტიანი ადამიანის ანტიპოდები ხართ, თქვენი შავი ანაფორები კი ქრისტეს თეთრი კვართის ნეგატივია.

გეშინოდეთ იმისა, რასაც ქადაგებთ. გეშინოდეთ იმ წიგნის, რომლიდანაც ქადაგებთ, რადგან სწორედ მაგ წმინდა წიგნშია თქვენზე ყველაფერი ნათქვამი, თქვენს აღსასრულზეც და სასჯელზეც. მანდვეა თქვენი აპოკალიფსი, რომლისაც არ გწამთ.

# ზურა პირველი დაწყევლეს

მსახიობი და რეჟისორი ზურა პირველი მას შემდეგ დაწყევლეს, რაც მან განაცხადა, რომ ქრისტიანულ რელიგიაზე უარის თქმა სურს:

— ასე მგონია, რაღაც იაფფასიან უგემოვნებო ჰორორს ვკითხულობ:

1. სახარებაში წერია, ჭეშმარიტი ლოცვა დაფარულშიაო და ესენი ხალხს ეუბნებიან, ვინც არ მოვა ეკლესიაში, ღმერთს უღალატებსო... მათეს სახარება. თავი მეექვსე: შენ კი, როდესაც ლოცულობ, შედი შენს სენაკში, მოიხურე კარი და ილოცე შენი ფარული მამის მიმართ. და მამა შენი, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგებს შენ ცხადად.

2. მიტროპოლიტი ქადაგებაში ამბობს, რომ დროა, მოხუცები დაიხოცონო...

3. სახელმწიფო ეკლესიას, დაუმორჩილებლობის მიუხედავად, კამათსაც ვერ უბედავს, პირიქით, საჩუქრებს ჩუქნის...

4. ხალხი იხოცება ვირუსისგან და მასონებს აბრალებენ...

5. მე ვთქვი, ქრისტე მიყვარს და ქრისტიანობა არა-მეთქი და ბრბომ მწყევლა, სიკვდილი მისურვა, მშობლები, ჯიში და ჯილაგი მაგინა, მახინჯი ხარო, ტ...ის მიცემა გინდა, ქრისტიანობა ხელს გიშლის და იმიტომ ამბობ უარსო. მოკლედ, ყველაფერი, რასაც ქრისტე გეუბნება, არ გააკეთოო, გააკეთეს ქრისტეს სახელით.



# მანანა აბრამიშვილი: „ეკლესია არ უნდა დაიკეტოს!"

აცხადებს რუსთაველის თეატრის მსახიობი მანანა აბრამიშვილი და განმარტავს, რომ არც ერთი განსაცდელის დროს არ იქნება ეკლესიის დახურვის მომხრე:



— არასოდეს არც ერთი განსაცდელის დროს არ ვიქნები ეკლესიის დახურვის მომხრე. სიკვდილის შიში იმიტომ არსებობს, რომ გვეშინია, იმქვეყნად როგორ მოგვეკითხება ჩვენი ცოდვები. ვიქნებით თუ არა იმის ღირსნი, რომ დავიმკვიდროთ ცათა სასუფეველი. აქ, დედამიწაზე იმისთვის ვართ, რომ ვიცხოვროთ რწმენით, უფლის სიყვარულით, სიკეთით, თანაგრძნობით, პატივისცემით, გვიყვარდეს და ვასრულებდეთ ეკლესიის კანონებს.

ეკლესია არ უნდა დაიხუროს, მაგრამ შესაძლებელია, ჩვენ, მოქალაქეები, ნუ მივალთ და იქ მხოლოდ მღვდელმსახურებმა ილოცონ ჩვენთვის აღდგომის ღამეს, ჩვენ კი სახლებში ვილოცოთ. ოღონდ, გთხოვთ, ნუღარ ჩავდივართ დიდ ცოდვას უფლის წინაშე და ნუ ვითხოვთ უმრავლესობა, რომ დაიკეტოს ეკლესია! გაუფრთხილდით თქვენს სულებს. ეკლესია არ უნდა დაიკეტოს, არა! არასოდეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები", რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის" შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

# გიორგი კოხრეიძე: „ჩემი უდიდესი ოცნებაა, ეროვნულ ნაკრებში ვითამაშო“

**კორონავირუსის გამო შეჩერებულია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ცხადია, ეს ფაქტი სასიხარულო არავისთვის არის. მათ შორის, არც გიორგი კოხრეიძისთვის, რომელსაც ჩემპიონატის შეჩერება ყველაზე მეტად „აწყობდა“. კოხრეიძემ მე-2 ტურში თბილისის მერანთან გამართულ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მას შემდეგ მკურნალობს. თუ როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და როგორ ცხოვრობს ჯერჯერობით ფეხბურთის გარეშე, თავად კოხრეიძე გვიამბობს:**

— ამ დროისთვის ერთ-ერთ კლინიკაში პროცედურებს გავდივარ, მალე ინდივიდუალურად დავიწყებ ვარჯიშს. პანდემიიდან გამომდინარე, არავინ იცის, როდის განვაახლებთ საწვრთნელ პროცესს, მაგრამ, ვიდრე ვარჯიშებს დავიწყებთ, მანამდე უკვე სრულად გამოჯანმრთელებული ვიქნები და გუნდთან ერთად შემეძლება ყოფნა.

***— კორონავისურმა ახალ ცხოვრებას შეგვაჩვია. როგორია თქვენთვის ერთი ჩვეულებრივი დღე?***

— დილაობით კლინიკაში მივდივარ და პროცედურებს ვიკეთებ, შემდეგ სახლში ვბრუნდები და მაქსიმალურად ვცდილობ, ის წესები დავიცვა, რასაც გვეუბნებიან. რთულია ასეთ რეჟიმში ცხოვრება, მაგრამ......

***— გასული სეზონი განსაკუთრებით დატვირთული გქონდათ — თასზე თამაში, ჩემპიონატი, ევროტურნირები, სადაც პირველად გამოხვედით, ნაკრებში ასპარეზობა. რა შეგძინათ 2019 წელმა?***

— ახლა ბევრად დიდი გამოცდილება მაქვს, ვიდრე მანამდე მქონდა. უფრო გამიადვილდა თამაში, თავდაჯერებული გავხდი. გასულ ზაფხულს ევროასპარეზზე ისეთ გამოცდილ და ტრადიციულ კლუბებს ვეთამაშეთ, როგორებიც არიან ზაგრების დინამო და ტირასპოლის შერიფი. ეს გუნდები ყოველწლიურად ევროტურნირებზე თამაშობენ. ასეთი დონის კლუბების წინააღმდეგ თამაში კი ყოველთვის დიდი გამოწვევაა. სადებიუტო წელი იყო და, ვფიქრობ, მთლიანობაში ნორმალურად ვიასპარეზეთ.

***— საბურთალოს შემადგენლობაში უკვე 123 მატჩი დაგიგროვდათ, აქედან 26 შემთხვევაში მოახერხეთ გოლის გატანა. რომელ მატჩს გამოარჩევდით და რომელი იყო თქვენთვის დასამახსოვრებელი გოლი?***



— საბურთალო უმაღლეს ლიგაში 2015 წლის აგვისტოდან თამაშობს. მაგ წელს, 12 დეკემბერს, ქუთაისის ტორპედოს ვუმასპინძლეთ, მატჩი 4:4 დასრულდა. მაგარი თამაში გამოვიდა. მაშინ 17 წლის ვიყავი, 2 გოლი გავიტანე, 2-ვე ლამაზი გამოვიდა. შემდეგ დასამახსოვრებელი იყო 2018 წლის საჩემპიონო თამაში დინამოსთან — 2:1 მოვიგეთ და პენალტიდან გავათანაბრე ანგარიში. არასდროს დამავიწყდება ტირასპოლში შორი მანძილიდან გატანილი გოლი. ეგეც ლამაზი და მნიშვნელოვანი იყო, ისევე, როგორც 2019 წელს თასის ფინალში, სადაც ლოკომოტივი 3:1 დავამარცხეთ. იმ შეხვედრაში ჯარიმიდან გავიტანე შორი მანძილიდან.

***— და ნაკრებებში რომელ გოლებს გამოარჩევთ?***

— საბურთალოს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შემდეგ ნაკრებში ხშირად მეძახდნენ. 17 წლის ვიყავი... ასაკობრივ ნაკრებში პირველად ლიხტენშტეინთან ვითამაშე და კარგად მახსოვს მათ კარში გატანილი ბურთი. ასევე, 19-წლამდელების ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები თბილისში, როდესაც შვედების კარი ავიღე. სასიამოვნო მოგონებად გამყვება შარშან საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ გატანილი ბურთიც, მიუხედავად იმისა, რომ 2:3 დავმარცხდით. ეგ თამაში ნამდვილად არ იყო წასაგები, ბოლო წუთებზე გაგვიტანეს მასპინძლებმა.

***— საფრანგეთის ნაკრებთან გატანილი გოლი ახსენეთ. როგორი იყო სავსე ტრიბუნების წინ თამაში, არ გაგიჭირდათ?***

— სათამაშოდ ძალიან თავისუფლად გავედით. სულაც არ ვფიქრობდით, რომ მეტოქე საფრანგეთი იყო. რა თქმა უნდა, სულ სხვა ემოციაა, როდესაც სავსე ტრიბუნების ქვეშ თამაშობ, გული სხვანაირად გიცემს, ბევრად მეტი შემართება გაქვს. ძალიან დიდი მუხტი იყო, როდესაც ევროპის 19-წლამდე ტურნირს ვუმასპინძლეთ. ჩეხეთთან ბოლო ტურში სავსე იყო „მიხეილ მესხის“ სტადიონი. შარშანაც არანაკლები გულშემატკივარი დადიოდა საბურთალოს ევროთამაშებზე. ზაგრების დინამოსთან, ფაქტობრივად, სავსე იყო ტრიბუნები.

***— პანდემიიდან გამომდინარე, არავინ იცის, როდის განახლდება ეროვნული ლიგა. დიდი შანსია, ჩემპიონატი 2 წრედ განახლდეს. ემხრობით?***

— დიახ. ვფიქრობ, უფრო დაძაბული იქნება ჩემპიონატი. იქიდან გამომდინარე, რომ ცოტა მატჩების ჩატარება მოგვიწევს, შეცდომის დაშვების უფლება არ გვექნება. დიდი პაუზა გამოგვივიდა და ასეთ დროს, მგონია, რომ სწორი გადაწყვეტილება იქნება.

***— ფაქტობრივად, ყველა ასაკობრივ ნაკრებში გითამაშიათ. როგორ ფიქრობთ, შორსაა ის დრო, როდესაც გიორგი კოხრეიძე ეროვნული ნაკრების მაისურს მოირგებს?***

— შესაძლოა, შორს არ იყოს, თუმცა გარკვეული დრო დასჭირდება. ჯერ ცხოვრება ჩვეულ რიტმს უნდა დაუბრუნდეს, გაგრძელდეს ფეხბურთის თამაში, შემდეგ კი მომავალი გვიჩვენებს. ჩემი უდიდესი ოცნებაა, ეროვნულ ნაკრებში ვითამაშო!

# რობერტო კარლოსმა ფიზიკის კანონები დაარღვია




ბრაზილიელი ფეხბურთელი რობერტო კარლოსი ერთი კვირის წინ 47 წლის გახდა. მასზე ბევრი დაიწერა, დაწერილა და დაგვიწერია კიდეც, მაგრამ ახლა ერთი მომენტი უნდა გავიხსენოთ.

1997 წელი იდგა... საფრანგეთში საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად თავი საფრანგეთის, ინგლისის, ბრაზილიისა და იტალიის ნაკრებებმა მოიყარეს.

მომავალ წელს საფრანგეთს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უნდა ემასპინძლა და ეს ერთგვარი მზადება იყო. ის ტურნირი ინგლისის ნაკრებმა მოიგო და ეს, შესაძლოა, ბევრს არც ახსოვდეს, მაგრამ გოლი, რომელიც რობერტო კარლოსმა გაიტანა, დღემდე ტრიალებს ვიდეოკოლაჟებში და აღფრთოვანებას იწვევს.

გახსნის მატჩი იყო — საფრანგეთი-ბრაზილია. მსაჯმა მასპინძელთა კარში ჯარიმა დანიშნა, კარამდე 35 მეტრი იყო. ბურთთან რობერტო კარლოსი მივიდა. მართალია, ბრაზილიელი იასონ კვირკველიასავით წითელ ნაჭერს არ იხვევდა მუხლზე, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა ცნობილი იყო. თუმცა სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელმა ამჯერად ფიზიკის კანონები დაარღვია — უძლიერესი მოჭრილი დარტყმით ბურთი კარში აღმოჩნდა.

ასე გაიტანა გაჩნდა კითხვები, თუ როგორ აკეთებს ამას რობერტო კარლოსი. ბრაზილიელს ამ „ზარბაზნის“ შესახებ ჟურნალისტებისთვის ბევრჯერ მოუყოლია, მაგრამ ისტორიას ყოველ ჯერზე ახალი დეტალები ემატებოდა.

**რობერტო კარლოსი:**

— სიმართლე გითხრათ, დღემდე არ ვიცი, ეს როგორ გავაკეთე. ეს იყო ლამაზი გოლი და ამისთვის ბევრი ვარჯიში და მონდომებული მუშაობა დამჭირდა მთელი კარიერის განმავლობაში და კონკრეტულ მატჩში ამ შრომამ ნაყოფი გამოიღო — გავიტანე ძალიან მაგარი გოლი, რომელიც ჩემთვის განსაკუთრებულია. არასდროს მიცდია იმ გოლის გამეორება, რადგან ვიცოდი, რომ ეს შეუძლებელია. ოდესღაც ვინმე გაიტანს მგავს სტილში, მაგრამ მე პირველი ვარ, ვინც ეს გააკეთა.

მოგვიანებით, ბრაზილიელმა თავისი დარტყმის ტექნიკის საიდუმლო გააზიარა.

— ყოველთვის ვცდილობ, ნიპელის (მილი, რომლითაც ბურთი იბერება) მხრიდან დავარტყა. ეს არის ბურთის ყველაზე მყარი ნაწილი, ამიტომაც გამოდის დარტყმა ასეთი ძლიერი. გარდა ამისა, დარტყმის დროს ჩემი ფეხი ბურთის მარცხენა ქვედა კუთხიდან მარჯვენა ზედა კუთხემდე ავიდა. ამის წყალობით მოუხვია ბურთმა ამგვარად. დღემდე მახსოვს რეკლამა ბარტეზის კარის უკან. მე ვუმიზნებდი „ლა პოსტის“ ბანერზე ასო ა-ს. მაგრამ ჩემი დარტყმის შემდეგ ბურთი სხვა ბანერისკენ გაფრინდა. ბოლბოიმ ბურთის აცილებაც ცადა. არადა, ვფიქრობ, მას ჩემდამი მეტი ნდობა უნდა ჰქონოდა! ყველაზე მეტად გამაოცა ბურთის ჩახვევამ. ასეთი გოლი კარიერაში ერთხელ გადის. ვარჯიშზე დამირტყამს მსგავს სტილში, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მივაღწიე ასეთ ტრაექტორიასა და ასეთ ბრუნვას.

ერთხელ ბრაზილიელმა თავმდაბლობა გამოიჩინა და საკუთარი წარმატება ბუნებრივ მოვლენას დაუკავშირა.

— ბურთი აშკარად მიზანს სცდებოდა, მაგრამ ქარმა შეაგდო კარში. ეს სასწაული იყო.

საფრანგეთისა და ბრაზილიის ამხანაგური მატჩის დასრულების შემდეგ რობერტო კარლოსის შთამბეჭდავ გოლს „შეუძლებელი“ უწოდეს და დაიწყეს მტკიცება, რომ ლიონის სტადიონის მინდორზე ფიზიკის კანონები დაირღვა. ვერავინ ხეირიანად ვერ ხსნიდა, როგორ შეძლო ბრაზილიელმა ამგვარი დარტყმის შესრულება. მხოლოდ 2010 წელს ფრანგი ფიზიკოსების ჯგუფმა ამოხსნა მცველის არანორმალური გასროლის საიდუმლო.

მათ რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარეს და გაარკვიეს, რომ ბურთის მოძრაობის სიჩქარე უფრო მალე ეცემა, ვიდრე ბურთის მოხვევის ტემპი. ამიტომაც ტრაექტორია ლოკოკინის ნიჟარის ფორმას მიიღებდა, ბურთს წინ კარი რომ არ დახვედროდა.

მეცნიერების აზრით, გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც ბრაზილიელის დარტყმის წარმატებაზე იმოქმედა, დისტანცია გახდა.

**კრისტოფ კლანე, მკვლევარი:**

— მანძილი უფრო მოკლე რომ ყოფილიყო, მხოლოდ მრუდის პირველ ნაწილს იხილავდით, მაგრამ, როცა დისტანცია კარამდე დიდია, ტრაექტორია მომრგვალებას ასწრებს.

გამოდის, რომ ბურთის მკვეთრი მოხვევა კარის წინ შემთხვევითი არ ყოფილა. ის შესაძლებელი გახდა იდეალური ბრუნვადობით, დარტყმის საჭირო ძალითა და შესაფერისი დისტანციით — თეორიაში, კარლოსის დარტყმის გამეორება შეიძლება.

თუმცა ფრანგი ფიზიკოსების ენთუზიაზმს არ იზიარებს სან პაულუს უნივერსიტეტის ბრაზილიელი პროფესორი ლუიშ ფერნადო ფონტანარი. მან აღწერა რობერტო კარლოსის გოლი, როგორც საფეხბურთო სასწაული.

**ლუიშ ფერნადო ფონტანარი:**

— მართალია, ფიზიკა ხსნის ბურთის ფრენის ტრაექტორიას, მაგრამ რობერტო კარლოსის დარტყმის დროს პირობები (დარტყმის ძალა, ბურთის წერტილი, რომლითაც დარტყმა განხორციელდა, მანძილი კარამდე) იმდენად უნიკალური იყო, რომ ჩვენ უპრობლემოდ შეგვიძლია, მას გოლი-სასწაული ვუწოდოთ. არა მგონია, კიდევ შევძლოთ რამე მსგავსის ხილვა საფეხბურთო მინდორზე.

ბრაზილიელი ფიზიკოსი ნაწილობრივ მართალი აღმოჩნდა. ზუსტად რობერტო კარლოსის გოლის გამეორება პროფესიულ დონეზე ვერავინ შეძლო. მხოლოდ მალაიზიის ჩემპიონატში კლუბ პენანგის ფეხბურთელ ფაიზ სუბრის გამოუვიდა რაღაც მსგავსი. 2016 წელს მან ამ გოლისთვის პუშკაშის პრემიაც კი მიიღო.

თავად რობერტო კარლოსმა 2019 წელს კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თავისი სახელგანთქმული დარტყმის ტექნიკა, თუმცა ამჯერად ბურთმა ისე ძლიერად ვერ მოუხვია და კარშიც არ შევარდნილა. შესაძლოა, იმიტომ, რომ დარტყმის მანძილი გაცილებით მოკლე იყო. როგორც ჩანს, ბრაზილიელის ლეგენდარული გოლი სამუდამოდ უნიკალური იქნება.

# ბელარუსთან ერთად ფეხბურთს ავსტრიაც დაიწყებს

ლაშა შინდაგორიძე, გეგა დიასამიძე, გიორგი ქანთარია — ჯერ მხოლოდ ეს 3 ქართველი ფეხბურთელი აგრძელებს ფეხბურთის თამაშს. სამივე მათგანი ბელარუსის ჩემპიონატში გამოდის, თუმცა მათგან ერთ-ერთმა, შინდაგორიძემ, მძიმე ტრავმა მიიღო და კარგა ხანი მოუწევს უქმობა. მაგრამ სხვა რამეს ვამბობდით — ამ სამეულს უახლოეს პერიოდში ოთარ კიტეიშვილი და ლევან ელოშვილი უნდა შეუერთდნენ.

ავსტრიის მთავრობამ სპორტსმენებს პირველი მაისიდან ვარჯიშის განახლების უფლება მისცა. ამ თემაზე ავსტრიის სპორტის მინისტრმა ვერნერ კოგლერმა ისაუბრა.

ავსტრიის ფეხბურთის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით, რანგით პირველი და მეორე ლიგების გარდა, ყველა ჩემპიონატი გაუქმდა. ასევე გაუქმდა ბუნდესლიგა და ავსტრიის თასი ქალთა შორის.

რაც შეეხება ბუნდესლიგის სეზონის დასრულებას, ჩემპიონატის განახლებამდე ყველა ფეხბურთელსა თუ კლუბის თანამშრომელს კორონავირუსის ტესტი ჩაუტარდება. ადგილობრივი მედიის ცნობით, მატჩები, შესაძლოა, უმაყურებლოდ ჩატარდეს.

ცხადია, მათ შორისაა გრაცის შტურმის ქართველი ნახევარმცველი ოთარ კიტეიშვილი, რომელიც მიმდინარე სეზონში ავსტრიის ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეულია. 24 წლის ნახევარმცველმა ავსტრიის ჩემპიონატის 21 მატჩში 4 გოლი გაიტანა და 5 საგოლე გადაცემა შეასრულა. კიტეიშვილის გარდა, ავსტრიაში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი ასპარეზობს. რანგით მე-2 ლიგაში კაპფენბერგის ღირსებას ლევან ელოშვილი იცავს.

ავსტრია ევროპაში ერთ-ერთი პირველი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც მკაცრ წესებზე უარი თქვა და ათასობით მაღაზიას მუშაობის განახლების უფლება მისცა.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ქალაქი მაროკოში, სადაც განთავსებულია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ყარაუნის უნივერსიტეტი; 2. მდინარე ციმბირში; 3. იტალიური საკონდიტრო; 4. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. პოლონური ხალხური ცეკვა; 8. ფულის ერთეული თურქეთში; 9. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ ქვეყანაში მეფის მცირეწლოვანების გამო; 10. ფერადი ლაზერის გამომგონებელი ამერიკელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 12. განუხორციელებელი იმედი, ოცნება; 13. თეთრი თიხა ჭურჭლის დასამზადებლად; 15. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო.

**თარაზულად**: 1. ბეთჰოვენის ოპერა; 6. წითელი ფერის იტალიური სადესერტო ღვინო; 7. სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის ბუღალტერიაში; 10. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 11. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 13. თეატრალური, მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 16. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 17. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 18. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვარძია; 2. ნაურუ; 3. „მომა“; 5. მაყარი; 6. ქცევა; 7. ალგებრა; 11. ლექცია; 13. პროლოგი; 14. მალტა; 15. ფოცხოვი; 16. „სუფრული“; 17. ბათუმი; 19. ალილო; 20. პატი.

**თარაზულად:** 1. ვანდომი; 4. „ონიმა“; 8. მელუა; 9. ყორე; 10. ძირულა; 12. ნეიმარი; 14. მუცო; 15. „ფანდანგო“; 16. სელტა; 18. მახრა; 21. თოლია; 22. ლენტეხი; 23. ლომბერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იედო; 2. ონი; 3. ალარმისტი; 4. ჰიჯრა; 5. ცინცაძე; 8. კოკი; 9. დიურერი; 10. გენეტიკა; 12. წულაძე; 13. ნეონი; 15. ფხოვი.

**თარაზულად:** 1. ინტალიო; 6. პლევრიტი; 7. „დუკლა“; 10. გერბი; 11. აკინი; 13. ნურიე; 14. „დაფნე“; 16. „არგო“; 17. იქთიოლი; 18. პამირი.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1334

ევრო — 3.4173

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9158

100 რუსული რუბლი — 4.2165

## ამინდის პროგნოზი 17 აპრილისთვის




# სერხიო ბუსკეტსი: „სეზონის განახლება რთული იქნება“



ბარსელონის ნახევარმცველმა სერხიო ბუსკეტსმა განაცხადა, რომ სეზონის განახლება რთული იქნება, რადგან საზოგადოებაში დიდი შიში არსებობს იმისა, რომ ვირუსი უფრო გავრცელდება.

ბუსკეტსის თქმით, მას არ გაუკვირდება, თუ სეზონი საერთოდ არ განახლდება:

— მესმის იმ ადამიანების, რომლებსაც ეშინიათ განვითარებული პროცესების და ცდილობენ, ფრთხილად იყვნენ. თუ სეზონი არ განახლდა, ეს ჩემთვის ძალიან გასაკვირი არ იქნება, რადგან რთულია, ასეთ დროს ფეხბურთზე იფიქრო. მიუხედავად ამისა, იმედი არ დამიკარგავს, რომ წელს ფეხბურთს ისევ ვითამაშებთ.

# კარიუსი: „კლოპი რჩევებს ხშირად მაძლევს“



ლივერპულის ყოფილმა მეკარე ლორის კარიუსმა იურგენ კლოპზე ისაუბრა და თქვა, რომ გერმანელი სპეციალისტი მას ხშირად აძლევს რჩევებს, რომლებსაც ის ყოველთვის ისმენს და იყენებს. კარიუსის თქმით, ის ფიქრობს ინგლისში დაბრუნებაზე, თუმცა ჯერჯერობით თურქეთშიც კმაყოფილია:

— კლოპს ხშირად ვეხმიანები. ის ყოველთვის მეგობრულად მელაპარაკება და კარგ რჩევებს მაძლევს. კლოპი ნამდვილი პროფესიონალია, რომელმაც თავისი საქმე კარგად იცის. არ ვიცი, ინგლისში დავბრუნდები თუ არა, მაგრამ ამის გაკეთება მინდა.

# ჟოზე მოურინიო: „ჰარი კეინის გარეშე გაგვიჭირდება“



ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მას არ სურს, ჰარი კეინმა გუნდი დატოვოს, რადგან მის გარეშე ტოტენჰემი ბევრს დაკარგავს.

მოურინიოს აზრით, კეინი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია:

— როდესაც კეინის თამაშს ვუყურებ, ვხვდები, რომ მისი მსგავსი ფორვარდი ბევრი არ არის. მისი წასვლით ნამდვილად დავსუსტდებით, თუმცა ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. ტოტენჰემში მხოლოდ ერთი ფეხბურთელი არ თამაშობს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# იუმორი

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

— იცი უკვე ჰაერზეც დაგვიწესეს გადასახადი...

— ეგ როგორ?

— როგორ და ჯარიმა თვითიზოლაციის რეჟიმის დარღვევისთვის. გამოხვედი ჰაერის ჩასასუნთქად? ჯარიმა გადაიხადე!

●●●

ავადმყოფი ექიმს ეუბნება:

— ექიმო, თუ შეიძლება პალატაში ჩემი მეზობელი მომაშორეთ.

— რატომ?

— რატომ და მოტოციკლეტს განასახიერებს.

— რა, ხმაური გაწუხებთ?

— არა, გამონაბოლქვი გაზები!!!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— გუშინ ჩემმა ცოლმა გადაწყვიტა თავისი დაქალების წინაშე შევერცხვინე და უთხრათ, რომ საწოლში არ ვარგივარ.

— მერე?

— რა მერე, დაქალები კატეგორიულად არ დაეთანხმნენ.

●●●

ცოლი ქმარს ეჩხუბება:

— როდემდე უნდა დაეთრეოდე ქალებში?!

— რა გინდა?

— რა და უკვე სამი შვილი გვყავს და შენი ერთიც არ არის!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— მითხარი, რომ დაგშორდე და სხვა კაცთან წავიდე, ინერვიულებ?

— ვიღაცის გამო ვინერვიულო? მეტი საქმე არ მაქვს! იმან ინერვიულოს!

●●●

ექიმი ქალს ეუბნება:

— იმისთვის, რომ თქვენი მეუღლე სწრაფად გამოჯანმრთელდეს, უნდა დალიოს და მეტი ისეირნოს.

— ექიმო გამაგიჟებთ, მაშინ ის მაინც ამიხსენით, საერთოდ რამ გახადა ავად?!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ირაკლი კვირიკაძე კორონავირუსით დაინფიცირდა



80 წლის ქართველი რეჟისორი და სცენარისტი ირაკლი კვირიკაძე კორონავირუსით დაინფიცირდა და ახლა ექიმებთან ერთად სიცოცხლისთვის იბრძვის.

ინფორმაცია მისმა მეუღლემ ტომა სტენკომ გაავრცელა:

— ირაკლი კვირიკაძე კოვიდ 19-ს ებრძვის. მადლობა ექიმებს, რომლებიც სასწაულებს ჩადიან და ყველაფერს აკეთებენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ გულითად მადლობას ვეუბნებით თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ მისთვის.

ირაკლის აქვს შაქრიანი დიაბეტი, გულთან დაკავშირებული პრობლემები და არცთუ ისე პატარა ასაკი.

დიდი მადლობა ყველას, ვისი ყურადღებაც და სიყვარულიც არ გვაკლია. ამას ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ. ეს გამოცდაა თითოეული ჩვენგანისთვის, რომ ერთმანეთს უფრო მეტი დრო დავუთმოთ და უფრო დიდი სიყვარული გამოვხატოთ.

გაუფრთხილდით თქვენს ახლობლებს, საკუთარ თავსა და ყველას, ვინც ახლოს ან თუნდაც ძალიან შორსაა.

# ბესიკ ხარანაულისთვის მსოფლიო პანდემია ახალი დროის ფანჯარაა



პოეტი ბესიკ ხარანაული აცხადებს, რომ მსოფლიოში გავრცელებული კორონავირუსი კაცობრიობისთვის ახალი დროის ფანჯარაა:

— მგონია, რომ ეს ახალი მსოფლიო პანდემია უხილავ ვირუსისა,
კაცისთვის ფანჯარაა ახალი დროისა,
რომელსაც, ხამს, პირველი მიეგებოს პოეტი...

ძნელი წარმოსადგენია, ერთ ადგილას კაცმა რომ მნახოს, არადა, მაწყდებიან დედამიწის მიწების ხალხები — ვინ ხმელეთით, ვინ ზღვით, ვინ ცის აირით: ძნელი არის ჩემი პოვნა, რაკი ჭოკიც მაქვს და მიხმობენ მშობელი დედებიც ჩემი მიწისა, ძნელი არის ჩემი მისამართი: „ოკუპანტის სამხრეთი მიწა“ — ასე ყველა მომძებნის, რადგან ერთია ოკუპანტი დედამიწაზე და სახელიც სადარი ჰქვია — ოკუპანტი!

# გია როინიშვილი: „საქართველოში უმძიმესი მდგომარეობაა!“



ასე მიაჩნია მსახიობ გია როინიშვილს და ყგია როინიშვილი: „საქართველოში უმძიმესი მდგომარეობაა!“

ასე მიაჩნია მსახიობ გია როინიშვილს და ყველას მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებს:

— უმძიმესი მდგომარეობაა საქართველოში და მთელ მსოფლიოში! საქართველო უნდა გადარჩეს! საქართველოს მოქალაქეები უნდა გადარჩნენ!

დავუჯეროთ ჩვენს ეპიდემიოლოგებს, ექიმებს და დავრჩეთ შინ! დღეს ეს გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა!

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დღეს მთელი საქართველო ტაძარია, ყველა ადამიანი ატარებს ღმერთს თავის გულსა და გონებაში! ტაძარი არასოდეს დაიხურება!

აღდგომის ღამეს ავანთოთ სანთლები და გამოვიდეთ აივნებზე! ვილოცოთ ჩვენი სულებისთვის! ჩვენ მივაწვდენთ ხმას ჩვენს შემოქმედს! დაგვლოცოთ ღმერთმა! დღეგრძელი იყოს საქართველო!ველას მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებს:

— უმძიმესი მდგომარეობაა საქართველოში და მთელ მსოფლიოში! საქართველო უნდა გადარჩეს! საქართველოს მოქალაქეები უნდა გადარჩნენ!

დავუჯეროთ ჩვენს ეპიდემიოლოგებს, ექიმებს და დავრჩეთ შინ! დღეს ეს გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა!

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დღეს მთელი საქართველო ტაძარია, ყველა ადამიანი ატარებს ღმერთს თავის გულსა და გონებაში! ტაძარი არასოდეს დაიხურება!

აღდგომის ღამეს ავანთოთ სანთლები და გამოვიდეთ აივნებზე! ვილოცოთ ჩვენი სულებისთვის! ჩვენ მივაწვდენთ ხმას ჩვენს შემოქმედს! დაგვლოცოთ ღმერთმა! დღეგრძელი იყოს საქართველო!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მერაბ სეფაშვილი სახლში დარჩენას გვთხოვს



მომღერალი მერაბ სეფაშვილი თითოეულ ჩვენგანს სახლში დარჩენას გვთხოვს, რათა მოსალოდნელი გართულებები თავიდან ავიცილოთ:

— დავწყნარდეთ, მეგობრებო და შევაფასოთ მშვიდად განცხადებებიც და სიტუაციაც... ძალიან რთულ რამესთან გვაქვს საქმე. გავაანალიზოთ და ისე ვიმოქმედოთ. ცუდ რამეს ვეთამაშებით. დარჩით სახლში!

# ნანა ცინცაძე: „ლიტურგიას ვუყუროთ ტელევიზიით“



პოეტი და პროფესიით ექიმი ნანა ცინცაძე გვირჩევს, რომ აღდგომის დღესასწაულს სახლში შევხვდეთ და საღმრთო ლიტურგიას ტელევიზიით ვუყუროთ:

— არ ვიცოდი, ამდენი სწორხაზოვანი ადამიანი თუ იყო ჩემს სამშობლოში...

დამერწმუნეთ, ქრისტეს სიყვარული და თაყვანისცემა შენს საკუთარ სახლში, სალოცავ კუთხეში ლოცვისას ზუსტად ისე შეგიძლია, როგორც ტაძარში. აქ მთავარი გული და რწმენაა... „არ გამოცადო უფალი შენი“ — იესოს ამ სიტყვებით მინდა მოვუწოდო ყველას, დავრჩეთ სახლში და იქ ავუნთოთ სიყვარულის სანთლები უფალს.

ლიტურგიას ვუყუროთ ტელევიზიით, პირდაპირ ეთერში და კიდევ ერთხელ ვიგრძნოთ ის სიხარული, რომელიც უფლის აღდგომას ახლავს, ამავდროულად, გადავარჩინოთ ჩვენი, საკუთარი და სულიერი და-ძმების სიცოცხლე.

ეს არის ჩემი, როგორც ექიმისა და როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანის მოწოდება ამ ძნელბედობის ჟამს.

# ასტროპროგნოზი



## 17 აპრილისთვის

**ვერძი** — უმჯობესია, თუ ოჯახურ გარემოში დაისვენებთ. ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **კურო** — მოვლენებს ნუ გაუსწრებთ. საქმიანობის სფეროს გაფართოება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** — რჩევების მიცემისაგან თავი შეიკავეთ. საკუთარი საქმით დაკავდით. **კირჩხიბი** — სავსებით კეთილისმყოფელი დღეა. დაწყებული საქმე დაუყოვნებლივ უნდა დაასრულოთ.**ლომი** — ეს დღე სასიცოცხლო პოტენციალის დაქვეითებით ხასიათდება. კარგი იქნება, თუ ცოტა ხნით განმარტოვდებით. **ქალწული** — აქტიურობას პლანეტები გიკრძალავენ. არც სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა დაგაყრით ხეირს. ერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს. **სასწორი** — არარეალურ საქმეს ნუ შეეჭიდებით. ნუ იქნებით ეჭვიანი. პასიური დღეა. **ღრიანკალი** — იფრთხილეთ. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. სიბრძნე და გონიერება მოგეთხოვებათ. **მშვილდოსანი** — შემოსავლის ახალ წყაროს ნუ ეძებთ. ერიდეთ მკვეთრ გამონათქვამებს. გეგმებს ნუ დასახავთ. **თხის რქა** — ცდუნებებით აღსავსე დღეა. თავი მოთოკეთ და ილუზიებისგან გათავისუფლდით. **მერწყული** — ინიციატივას თუ გამოიჩენთ, საქმეს თქვენ სასარგებლოდ შემოაბრუნებთ. მაქსიმალურად იაქტიურეთ. **თევზები** — საკუთარ თავზე იმარჯვებთ. ნებისყოფა არ გღალატობთ. დღეს საქმიანობის დიდი ნაწილი ფინანსებს უკავშირდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 2. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. საჭმლის მომნელებელი შინაგანი ორგანო; 5. მოყავისფრო წვრილი წინწკლები სახესა და ხელებზე; 6. მოედანი სამხედრო-სამწყობრო ვარჯიშებისთვის; 7. სიახლის შემოტანა რამე საქმეში; 11. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 13. სამშობიარო სახლის სახელწოდება ძველად საქართველოში; 14. ყველაზე დიდი, ოსაკას აეროპორტი იაპონიაში; 15. ეკლესია თბილისში; 16. გემის სამზარეულო; 17. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 20. ტურისტთა მეგზური.

**თარაზულად**: 1. მაგიდის სათამაშო; 4. მწვადის შეწვისას წვეთ-წვეთად ჩამოჟონილი ცხიმი; 8. დაბლობ ადგილებში დამდგარი დამყაყებული წყლიანი ტერიტორია; 9. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ერთ-ერთი რელიგია; 12. მარგალიტის ყელსაბამი; 14. შტატი აშშ-ში; 15. ქართველ მამაკაცთა ძველებური ტყავის ფეხსაცმელი; 16. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 18. საწვავი სითხე; 21. სახელმწიფო ევროპაში; 22. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 23. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

